პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

3 მარტი პარასკევი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 53 (15266)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

დავაჩქაროთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა სოფლის მეურნეობაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ მიიღო დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოფლის მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა გამოყენების დაჩქარების ღონისძიებათა შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობის შესახებ, რესპუბლიკის მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების კოლექტივებს, რომლებიც მუშაობენ სოფლის მეურნეობის დარგში, თავიანთი წვლილი შეაქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა ფართოდ დანერგვის საქმეში.

ამ პირველ წლების მანძილზე სოფლის მეურნეობაში წარმატებით ინერგება ჩაის, ყურძნის, ხეხილის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანის დარგში მთელი რიგი აქტუალური გამოკვლევების შედეგები, მიმდინარეობს ნაყოფიერი მუშაობა პირუტყვისა და ფრინველის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, მაღალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო მანქანების შექმნისათვის, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების ხარულოფოფისათვის.

მთელი რიგი აქტუალური პრობლემების შემუშავებაში აქტიურად მონაწილეობს აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოგიერთი ინსტიტუტი.

ამასთანავე, როგორც აღნიშნული იყო მიმდინარე წლის თებერვალში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ რესპუბლიკური თათბირზე, რომელიც მიეძღვნა საკითხს, თუ როგორ სრულდება სოფლის მეურნეობის მეცნიერების წინაშე დასახული ამოცანები სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით, რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრას.

ჯერ კიდევ დიდია იმ მეცნიერულ მიღწევათა ათვისების ვადები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის, არ არის სამუშაოთა მიზანდასახული, ზუსტი ორგანიზაცია წარმოებაში მათი დროულად დანერგვისათვის.

სეროზული ნაკლოვანებანია მეცნიერული კვლევის დაგეგმვაში. მეცნიერულ-კვლევითი სამუშაოების თემატური გეგმები ხშირად არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის აქტუალურ ამოცანებს, მთლიანად არ არის გამოყენებული, მონათესავე მეცნიერებათა — მათემატიკის, ქიმიის, ფიზიკის, ელექტრონიკისა და ავტომატიკის, კიბერნეტიკისა და სხვა მეცნიერებათა დიდი პოტენციური შესაძლებლობანი.

ნელა მუშავდება და ინერგება პრაქტიკაში მცენარეთა მძიმე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური ღონისძიებანი; ნაკლები ყურადღება ეთმობა სამთო მოწამოქმედებისათვის საჭირო ტექნიკის შექმნას, თამბაქოსა და სხვა მნიშვნელოვანი ტექნიკური კულტურების თესვა-მოყვანის შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, მცირე მექანიზაციის საშუალებების, რძის ცხიმიანობის, ყურძნის შაქრიანობის პროცენტის სწრაფი და ზუსტი განსაზღვრისათვის საჭირო ხელსაწყოების, ბრუცელოზის, თურქულისა და სხვა დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭირო პრეპარატების შექმნას.

მთელ რიგ შემთხვევებში სამინისტროები და უწყებები დიდძალ სახსრებს ახმარენ იმ სახელშეკრულებო თემების დამუშავებას, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვთ.

ჯერ კიდევ ხუსტია შემოქმედებითი კავშირი სოფლის მეურნეობის დარგობრივ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, პრობლემურ ლაბორატორიებს, საკონსტრუქტორო ბიუროებსა და რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს შორის.

სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები, ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯეროვან სიმკაცრეს არ იჩენენ, რომ რაც შეიძლება მალე დაინერგოს მეცნიერების, ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო კომიტეტები და რაიკომები, სამინისტროების, უწყებების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ღრმად ვერ სწვდებიან სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერული კვლევის თემატიკას, სუსტად იბრძვიან მეცნიერთა კოლექტივების დასარაზმად მეცნიერული ნამუშევრების დადებითი შედეგების პრაქტიკაში წარმატებით დანერგვისათვის.

ამის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსოფლტექნიკამ", სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მთელი ყურადღება უნდა მიაპყრონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების პერსპექტიული პრობლემების გადაჭრას, წარმოების ეფექტიანი ტექნოლოგიური პროცესებისა და მათი კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებების, მავნებლებისა და დაავადებებისგან მცენარეთა და ცხოველთა დაცვის პროგრესული მეთოდების შემოქმედებას და სხვ; უზრუნველყონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მოწინავე გამოცდილების უფრო ფართოდ გამოყენება, ყოველი ღონე იხმარონ სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებების სამუშაოთა ეფექტიანობის ამაღლებისათვის, დაჩქარონ მეცნიერული თემების დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიღებული შედეგების დანერგვის ვადები; განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო-სახელმწიფოებრივ თემების მიხედვით მეცნიერული კვლევის დროულ და ხარისხიან შესრულებას, ამასთან თემატიკიდან ამოიღონ ნაკლებ აქტუალური და უპერსპექტივო თემები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს დაავალა განიხილონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სოფლის მეურნეობის პრობლემების დამუშავებაში სამეცნიერო დაწესებულებების მონაწილეობისა და მიღწეული შედეგების წარმოებაში დანერგვის საკითხი და დასახონ მათი საქმიანობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი. (საქდინი).

დიდება საბჭოთა მეცნიერებას!

მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მუშებს, ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ავტომატური „ლუნა-20" სადგურის შექმნასა და მთვარის გრუნტის ნიმუშების ედედამიწაზე ჩამოტანის განხორციელებაში

ძვირფასო ამხანაგებო!

კოსმოსის ათვისების ისტორიაში კიდევ ერთი მკაფიო ფურცელი ჩაიწერა.

1972 წლის 14 თებერვალს საბჭოთა ავტომატურმა „ლუნა-20" სადგურმა სტარტი აიღო მთვარისაკენ, მიაღწია მას და რბილად დაჯდა მთვარის მთაგორიან მატერიკულ რაიონში სიუხვის ზღვასა და კრიზისების ზღვას შორის. „ლუნა-20" სადგურმა გაბურღა მთვარის გრუნტი და აიღო მისი ნიმუშები, რის შემდეგაც კოსმოსურმა რაკეტამ მთვარის ზედაპირიდან სტარტი აიღო დედამიწისაკენ. დედამიწასთან მოახლოებისას რაკეტას გამოეყო დასაბრუნებელი აპარატი, რომელშიც იყო მთვარის გრუნტის ნიმუშები. აეროდინამიკური დამუხრუჭების შემდეგ 1972 წლის 25 თებერვალს აპარატი დაჯდა საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

ავტომატური „ლუნა-20" სადგურის ფრენის გათვალისწინებული პროგრამა მთლიანად შესრულდა. სადგურის ყველა სისტემა და დედამიწის კომპლექსთა სამუშაოები ზუსტად და საიმედოდ მუშაობდნენ.

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევა მთვარისა და კოსმოსური სივრცის გამოკვლევაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელოვანი მუშათა კლასის, მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების შთაგონებული შრომის შედეგია, სამშობლოსი, რომელიც ეგებება ღირსსახსოვარ იუბილეს — სსრ კავშირის 50 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ ყველა კოლექტივსა და ორგანიზაციას, ყველას, ვინც მონაწილეობდა ავტომატური „ლუნა-20" სადგურის შექმნასა და მისი ფრენის განხორციელებაში.

დიდება საბჭოთა ხალხს — შემოქმედსა და აღმშენებელს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას სამშობლოს კეთილდღეობისათვის, კომუნიზმის ზეიმისათვის, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

ჩვენ, მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მუშები, რომლებიც ვმონაწილეობდით ავტომატური „ლუნა-20" სადგურის შექმნაში, გაშვებასა და ფრენის განხორციელებაში, მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, რომ წარმატებით შესრულდა რთული მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანა, რომელიც მიზნად ისახავდა ავტომატური აპარატის დაჯდომას მთვარის ძნელადმისაწვდომ მატერიკულ რაიონში, მთვარის გრუნტის გაბურღვას და მისი ნიმუშების ჩამოტანას საბჭოთა კავშირის ნავარაუდევ რაიონში.

„ლუნა-20" სადგურის ფრენის ყველა ეტაპზე — დედამიწა-მთვარის ტრასაზე, სელენოცენტრულ ორბიტაზე ფრენა, მთვარის გათვალისწინებულ რაიონში რბილი დაჯდომა, მთვარის გრუნტის გაბურღვა და მისი ნიმუშების აღება, კოსმოსური რაკეტის სტარტი მთვარიდან, მისი ფრენა დედამიწისაკენ, დასაბრუნებელი აპარატის დაჯდომა დედამიწაზე — სადგურის აპარატურა და სისტემები, საკომანდო-საზომი და საძებნი კომპლექსების საშუალებანი ზუსტად და საიმედოდ მუშაობდნენ.

„ლუნა-20" სადგურის ფრენის პროგრამის წარმატებით განხორციელებამ კვლავ დაადასტურა, რომ ავტომატურ აპარატებს დიდი შესაძლებლობანი აქვთ კოსმოსური სივრცის გამოსაკვლევად და მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების ზედაპირიდან მეცნიერული ინფორმაციის მისაღებად.

აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობასა და მთელი საბჭოთა ხალხს, რომ მთელ ჩვენს ძალღონესა და უნარს მოვახმართ პარტიისა და მთავრობის იმ დავალებათა შესრულებას, რომ შევქმნათ საბჭოთა კოსმოსური ტექნიკის ახალი ნიმუშები ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ კოსმოსური სივრცის გამოკვლევისა და ათვისებისათვის.

საბჭოთა კავშირ-ბანგლადეშის მოლაპარაკება

1 მარტს კრემლში ნაშუადღევს დაიწყო მოლაპარაკება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ა. ნ. კოსიგინსა** და საბჭოთა მთავრობის მოწვეულთ საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს შეიხ **მუჯიბურ რაჰმანს** შორის.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ბ. ნ. პონომარიოვი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ნ. ნოვიკოვი**, სსრ კავშირის მინისტრები **ა. ა. გრომიკო** და საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სპეციალური ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ნ. ა. ტალიზინი**, სსრ კავშირის ელჩი ბანგლადეშში **ს. ა. ბაბანოვი**.

ბანგლადეშის მხრივ: საგარეო საქმეთა მინისტრი **მ. აბდუს სამადი**, საგარეო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე დოქტორი **ნურულ ისლამი**, საგარეო საქმეთა სამინისტროს მდივანი **ს. ა. კარიმი**, ფინანსთა სამინისტროს მდივანი **მატიურ ისლამი** და სხვები.

მოლაპარაკების დროს, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირსა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას შორის ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალური საერთაშორისო პრობლემები.

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო შეიხი მუჯიბურ რაჰმანი

2 მარტს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** მიიღო ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი შეიხი **მუჯიბურ რაჰმანი. ლ. ი. ბრეჟნევი** გულთბილად მიესალმა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოჩენილ ლიდერსა და მთავრობის მეთაურს.

მუჯიბურ რაჰმანმა გულითადი მადლობა გადაიხადა უდიდესი მხარდაჭერისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა გაუწია ბანგლადეშის ხალხს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კეთილშობილურ ბრძოლაში.

შეხვედრის დროს, რომელმაც მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს საბჭოთა კავშირსა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხები, აგრეთვე ზოგიერთი ურთიერთსაინტერესო საერთაშორისო პრობლემა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. **გრომიკო** და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. **აბდუს სამადი**, სსრ კავშირის ელჩი ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ფ. **პოკოვი** და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში **შამსერ რაჰმანი**. (საკდესი).

მიღების დროს ლ. ი. ბრეჟნევი ხელის ჩამორთმევით მიესალმება შეიხ მუჯიბურ რაჰმანს. მარჯვნივ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო.

ფოტო საკდესისა. (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

მუჯიბურ რაჰმანის პატივსაცემად

1 მარტს კრემლის დიდი სასახლის წახნაგოვან პალატაში სსრ კავშირის მთავრობამ სადილი გამართა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის შეიხ **მუჯიბურ რაჰმანის** პატივსაცემად.

მუჯიბურ რაჰმანთან ერთად იყვნენ მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში შამსერ რაჰმანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ე. დმიტრიჩი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ვ. ნოვიკოვი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი და სხვა ოფიციალური პირნი.

სტადიუმ წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. მიმართა რა მუჯიბურ რაჰმანს, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკისათვის დღეანდელი დღე ღირსსახსოვარია. ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეთაურის პირველი ვიზიტი საბჭოთა კავშირში ერთობ თვალსაჩინო მოვლენაა. რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისათვის, მათ შორის ფართო თანამშრომლობის დამყარებისათვის, რომელიც შეესაბამება მათი ხალხების ინტერესებს. მშვიდობის უზრუნველყოფის ინტერესებს.

საბჭოთა ხალხი, თქვა ა. ნ. კოსიგინმა, ღრმად თანაუგრძნობდა აღმოსავლეთ ბენგალიის ხალხის ბრძოლას და მიესალმა მის გამარჯვებას. ეს ჩვენი პოზიცია ღრმად პრინციპული.

დღეს ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა ცნო მსოფლიოს ყველა ხალხმა, ორმოცზე მეტმა სახელმწიფომ დიპლომატიურად ცნო იგი. და ეჭვი არ არის, რომ ისინი, ვინც არ ცნობს ბანგლადეშს დღეს, იძულებული იქნებიან ცნონ ხვალ.

ახალი სუვერენული სახელმწიფოს დაბადება, რომლის ხალხი ეზიზღებოდა ყველა სოციალური პროგრესის გზას, მუდამ არის დადებითი ფაქტორი, რომელიც მშვიდობის საქმეს ემსახურება. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ასეთი მნიშვნელობა ექნება ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის შექმნას ინდოსტანის ნახევარკუნძულზე საერთო ნორმალიზაციისათვის, რომ ბანგლადეშის მთავრობის პოლიტიკა მიზნად დაისახავს სამუდამოდ მოეღოს ბოლო აქ მტრული ძალების მიერ ხელოვნურად შექმნილ დაძაბულობას. ინდოსტანში მტკიცე მშვიდობის დამყარება შეესაბამება ამ რაიონის ხალხთა ძირეულ ინტერესებს, მათი სოციალური, ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა და აღმოფხვრის სერიოზული დაძაბულობის კერას.

დასასრულ ა. ნ. კოსიგინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თავის ურთიერთობას ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკასთან საფუძვლად დაუდებს სრული თანასწორობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლად. მან რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენი თანამშრომლობა ნაყოფიერი, ჩვენი ქვეყნების ეროვნული ინტერესების შესაბამისი იქნება და მშვიდობის განმტკიცების კიდევ ერთი ფაქტორი გახდება.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა მუჯიბურ რაჰმანმა. ჩემთვის, თქვა მან, ჭეშმარიტად დიდი პატივია დღეს თქვენთან ერთად ვიმყოფებოდე. განსაკუთრებით მოხარული ვარ, რომ აქ არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი.

ბანგლადეშის დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს წარმომადგენელი პირველად ჩამოდის ვიზიტით თქვენს ქვეყანაში, რომელიც თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის უკეთესი მომავლისათვის კაცობრიობის ბრძოლის პიონერია. ეს დიადი მომენტია ჩვენს ისტორიაში, ის ფაქტი, რომ ჩვენი ბრძოლის დაწყებიდანვე საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი მიეხმარნენ ჩვენს ბრძოლას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, თქვენი დიადი რევოლუციური ტრადიციის ღირსეული გამოხატულებაა. ნება მიბოძეთ ჩემი ხალხის სახელით დიდი მადლობა გადავუხადო საბჭოთა ხალხს ჩვენი საქმის მხარდაჭერისათვის.

მუჯიბურ რაჰმანმა ილაპარაკა ბანგლადეშის ხალხის ბრძოლაზე დამოუკიდებლობისათვის.

პოლიტიკური დამოუკიდებლობა ჩვენ ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ, იგი რომ შევინარჩუნოთ, უნდა დავძლიოთ სიღატაკე, დაავადებანი და შიმშილი, განაგრძო საპატიო სტუმარმა. დარწმუნებული ვართ, რომ ეკონომიური პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ, უზრუნველყოფს არა მარტო ჩვენი ეკონომიკის სწრაფ ზრდას, არამედ ამ ზრდის ნაყოფის სამართლიან და თანაბარზომიერ განაწილებასაც. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ დაადგა დემოკრატიის გზას.

მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, აღსავსეა კონფლიქტებით. ჩვენ აღგვაფრთოვანებს გმირული როლი, რომელსაც დიდი სიბაფეთა ხალხი ასრულებს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნაში. როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ჩვენ დღეს ვამაყობთ, რომ შეგვიძლია შევუერთდეთ ამ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავენ საყოველთაო მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების განმტკიცებას.

დიდ მადლობას ვუხდი საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს, თქვა დასასრულ მუჯიბურ რაჰმანმა, გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, რომელსაც ყველგან ვხვდები. დარწმუნებული ვარ, რომ ეს თქვენი მთავრობისა და თქვენი ხალხის გულწრფელი მეგობრობის გამოვლინებაა ჩემი ქვეყნის ხალხისა და ჩემი მთავრობისადმი. თქვენ გულწრფელი მეგობრობის გრძნობით სართ გამსჭვალულნი ჩემი ხალხის მიმართ, და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ბანგლადეშის ხალხი სულითა და გულით ასევე უპასუხებს ამ გრძნობებს.

ა. ნ. კოსიგინისა და **მუჯიბურ** რაჰმანის სიტყვები დიდი ყურადღებით მოისმინეს და ტაშით შეხვდნენ.

სადილმა მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში

ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა შეიხმა **მუჯიბურ რაჰმანმა** 2 მარტს საუზმე გამართა საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ამხანაგები **ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები **ნ. კ. ბაიბაკოვი, ვ. ა. კირილინი, ვ. ნ. ნოვიკოვი**, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი და სხვა ოფიციალური პირნი.

მუჯიბურ რაჰმანთან ერთად საუზმეზე იყვნენ მისი თანმხლები პირნი, აგრეთვე ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **შამსერ რაჰმანი**.

საუზმის დროს, რომელმაც მეგობრულ, გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, **მუჯიბურ რაჰმანმა** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** სადღეგრძელოები წარმოთქვეს.

(საკდესი).

„ვენერა-8"-ზე გაზაფხულზე იქმნება შემოდგომის გარაქა

თესვას მომზადებული ხვდებიან

ზუგდიდი. (საკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის" ზუგდიდის რაიონულმა გაყოფილებამ (მბრძანებელი მ. დარასელია) ჯერ კიდევ შარშან მეოთხე კვარტალში შეაკეთა სხვადასხვა მარკის 75 ტრაქტორი, 32 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", 13 ავტომანქანა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადგილზე შეკეთდა ტრაქტორების გუთნები, ფარცხები, სათესები, კულტივატორები, მოსამზადებლები. მექანიზატორებმა კოლმეურნეობებში მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად მოამზადეს 400 ჰექტარი ფარობები. ბაგრების ბადეზე ადრი და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის მექანიზატორებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება. განყოფილების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა პირველ კვარტალში შეაკეთოს 35 ტრაქტორი, 25 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო", 12 თვითმავალი შასი „ტ-16 მჩ", გამოუშვას 51 ფთასი მანქანის პროდუქცია და საგაზაფხულო თესვისათვის ტექნიკის მომზადების დავალება 10 მარტამდე შესრულოს.

პირველ კვარტალში უკვე შეკეთებულია 34 ტრაქტორი, 18 ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" და 10 თვითმავალი შასი.

რაიონის კოლმეურნეობებმა წინა წლებთან შედარებით უკეთ მოაწყეს საგაზაფხულო კულტურების სათესლე მასალის კონდიციამდე აყვანა. მომარაგებული და შემოწმებულია 2.666 ცენტნერი სიმინდის თესლი ნაცვლად 2.452 ცენტნერისა, 500 ცენტნერი სოიის თესლი და 90 ცენტნერი ლობიოს თესლი.

ახალი ტექნიკა სოფელს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ გაზაფხულისათვის წყალტუბოს, მაიაკოვსკის, გეგეჭკორის, ამბროლაურის რაიონების და ჭიათურის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებსაც „საქსოფლტექნიკის" ქუთაისის სავაჭრო შემოზიდვის ბაზა ემსახურება, დიდძალი ახალი ტექნიკა შეიძინეს.

მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობებმა შეიძინეს სარწყავი აგრეგატების 9 კომპლექტი, აგრეთვე ვენახებში სამუშაოდ გასაუთვნილი „ტ-54-ვ" მარკის ტრაქტორები. ჩაის პლანტაციებში საბუშაოდ — „ტ-16-მჩ" მარკის სრულიად ახალი მოდელის ყანბინიანი ტრაქტორები, ბულდოზერები და „ბელარუსის" მარკის ტრაქტორები შეიძინეს წყალტუბოს რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა.

ამ დღეებში ქუთაისის ბაზამ სოფლისათვის მიიღო სხვადასხვა მარკის 128 ტრაქტორი, 120 გუთანი, ჩაის სასხლავი 60 აპარატი, აგრეთვე სასუქის შესატანი აგრეგატები, სილოსის ასაღები კომბაინები, ექსკავატორები, ბულდოზერები, გრეიდერები და სხვა იარაღ-მანქანები.

სნაელობენ მექანიზატორობას

ბუგდანოვკა. (საკ. კორ.). რაიონის ახალგაზრდობის თხოვნით სურამის № 14 პროფტექნიკურმა სასწავლებელმა სოფელ გორელოვკაში გახსნა ერთწლიანი კურსები მექანიზატორთა მოსამზადებლად. მექანიზატორის პროფესიას ეუფლება 46 ქალიშვილი, რომელთა შორის კარგი სწავლით თავი გამოიჩინეს საკოლმეურნეო წარმოების მოწინავეებმა — გალინა ბატურინამ, ანა დემენოვამ, მელანია ასტაფეროვამ, ახალგაზრდა დიასახლისებმა — ანა ლარინამ, ეკატერინე კალმიკოვამ, ლუბა პოპოვამ, მარია ზუბკოვამ და სხვებმა.

მექანიზატორობასთან ერთად ისინი სწავლობენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და აგროტექნიკის საფუძვლებს.

სამი თვე კლანეტისირგვლივ ორბიტებზე

ორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 1 მარტი. (საკდესი). გრძელდება „მარს-2" და „მარს-3" საბჭოთა ავტომატური სადგურების ფრენა. 1 მარტისათვის „მარს-2" სადგურმა 127-ჯერ, ხოლო „მარს-3" სადგურმა 7-ჯერ შემოუარეს მარსს. 18 თებერვლიდან 1 მარტამდე მარსი დედამიწას დაშორდა კიდევ 15 მილიონი კილომეტრით, ხოლო ამჟამად პლანეტებს შორის მანძილი 259 მილიონ კილომეტრს შეადგენს.

მარსის საბჭოთა ხელოვნურ თანამგზავრებთან რეგულარულად ეწყობა რადიოკავშირის სეანსები. კავშირი სადგურებთან მყარია.

პლანეტისირგვლივ ორბიტებიდან გრძელდება მარსის ზედაპირისა და ატმოსფეროს გამოკვლევა, მისი ფოტოგრაფირება, პლანეტის გარემომცველი კოსმოსური სივრცის მახასიათებლების შესწავლა.

საბჭოთა ავტომატური აპარატები უკვე სამი თვეა მარსის გარშემო დაფრინავენ. ამ პერიოდში მიღებული დიდი მოცულობის მნიშვნელოვანი მეცნიერული ინფორმაცია მარსისა და პლანეტის იმგვლივი კოსმოსური სივრცის შესახებ.

„მარს-2" და „მარს-3" სადგურების მუშაობის დაგეგმილი პროგრამა. პლანეტის ხელოვნური თანამგზავრების ორბიტაზე მალე დამთავრდება.

მიფრინავს „კოსმოს-476"

1972 წლის 1 მარტს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-476" თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურ

მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს

სტუმრები მ. ა. შოლოხოვის სამშობლოდან

ბაზაზულის პირველი სურნელი ავარდა ალაზნის ველს. მიწამ ზამთრის თეთრი საბურველი დადეიძრო და, როგორც იყო, ზურგი გაითბო, სადაც არის, ნუშის ყვირტები დასკდებიან და გაზაფხულს პირველ ღიმილს შეაგებებენ.

ბევრი საქმე აქვთ ახლა სოფლის მშრომელებს, მათ შორის სიღნაღელებს. ეს ორიოდე დღეა, მზომ თვალი გაახელა და დიდმა თუ პატარამ მინდორსა და ვენახს მიაშურა. ასეა, თუ გაზაფხულზე არ გაისარჯა, შემოდგომაზე ვინ რას მოგიკიმს!

სულ სხვა იყო ის დღე — 25 თებერვალი. ამ დღეით მზე თითქოს უფრო ადრე ადგომოდა, ანუ ნაკლებ ბინდ-ბინდობა, რომ დიდამოწყა ოხშივარი აადინა.

საზეიმოდ იყო მორთული ამ დღეს ქალაქი სიღნაღი. მოიდანზე დიდ ტიროზე წარწერილია — „ვინც იყოს თქვენი მობრძანებულ!“ ვის არ შეხვედებით აქ. მეურნეობათა ხელმძღვანელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს, სპეციალისტებს, პარტიულ და კომკავშრომულ მუშაკებს.

ვის ელიან ისინი, ვის უყლოკავენ ვითარ მობრძანებას?

მეგობრებს შორეული დონიდან, ვეშენსკაიადან, სწორედ ამ მიწაწყლიდან, სადაც რუსი ხალხის და ჩვენი ეპოქის სასიქადულო მწერალი მიხეილ შოლოხოვი ცხოვრობს. ისინი პირველად ჩოდი ჩამოდიან სიღნაღში. სიღნაღელებმა და დონელმა კაზაკებმა კარგახანია ერთმანეთს ძმობა და მეგობრობა შეპფიცეს. შეპფიცეს და არც ყოლაფრიათ მისთვის. მას შემდეგ იქნება წელი გავიდა. არ ყოფილა ზეიმი თუ რამ დღესასწაული, რომ მეგობრებს ველოდოდად არ მელოდოთ ერთმანეთისათვის. შეჯიბრებაშიც ჩაებნენ, ისინი ერთმანეთისაგან სწავლობენ, ურთიერთს უზიარებენ გამოცდილებას; და ანა მარტო შრომაში! ამ ორი მოძმე ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში, ტრადიციებსა და ჩვეულებში. ამ ძმობას აკავშირებს და აღფოთებს შრომის, ბრძოლისა და გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები სულ მალე სამეგალითოდ ეღლესასწაულებენ.

სწორედ ამ დღეებში ვეშენსკელებმა გადაწყვიტეს ენახათ მეგობრები თავიანთ მიწაწყალზე, მეილოცოთ ეროვნული დღესასწაული, — 25 თებერვალი, ესურვებინათ წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში.

და, აი, შეხვდნენ ერთმანეთს. რუს მეგობრებთან ერთად სიღნაღელებს ეწვიენენ გორის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. რომელებთანაც ვეშენსკელებს ალაბერებთ შეკიბრება, მეგობრობა.

ვეშენსკაიადან იყვნენ: პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივანი **ი. ზიმოვნოვი**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ნ. ვიპრიაშკინი**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ტოლსტოპიატენკო**, საბჭოთა მეურნეობა „კრუჟილინსკის“ განყოფილების მმართველი **მ. კარგინი**. გორელი მეგობრებიდან სიღნაღელებს ესტუმრნენ: სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი **ვ. კვალიაშვილი**, სოფელი ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. გოგშელიძე**, ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვ. სუხიშვილი**.

მეგობართა ეს შეხვედრა მარტო საზეიმო და სადღესასწაულო როდი იყო. ეს იყო ნამდვილი საქმიანი კრება, მსჯელობა. რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავე მუშაკთა ამ შეკრებაზე, სიღნაღის რაიონის აქტივმა, სტუმრებთან ერთად, შეაჯამა მეცხრე ხუთწლიდის პირველი წლის შედეგები, გამოაკვეთა ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი კიდევ უფრო უხვი სახალხო დოვლათის შექმნისათვის.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. ელანშვილმა**, სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. კარწაშვილმა**, პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივანმა **ი. ზიმოვნოვმა**, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა **ვ. კვალიაშვილმა** აღნიშნეს, რომ ამ რაიონების მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს გასულ წლის ნაკისრი ვალდებულებები სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში.

ყველთბილი და ამაღლებული იყო პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივნის ივანე **ზიმოვნოვის** სიტყვა.

— მოვდიოდით რა ჩვენი სამშობლოდან, — თქვა მან, — თან წამოვიღეთ ჩვენი თანამემამულეების — დონელი კაზაკების, ჩვენი სასიქადულო შვილისა და ქართველი ხალხის დიდი მეგობრის მიხეილ შოლოხოვის მხურვალე სალამი და ალითილი სურვილები. ჩვენ თქვენთან, ძვირფასო მეგობრებო, მზიერ საქართველოში თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. მე და ალბათ თქვენც, ჩვენს ურთიერთობაში ყველაზე მეტად მახარებს მეგობრობა ნამდვილად ძმური, გულწრფელი და სამარადჟამო.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ხალხები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიდი ზეიმს ალინიშნავენ, ეს ბრძოლებიან, ჩვენ ძალა შეგვიძლია ერთმანეთს. ჩემი და ჩემი ხალხის სურვილია ეს სახარული განვიცადოთ ჩვენს მეზობლებს, მობრძანდით, მეიღეთ დონელი ალბალების პური და მარილი.

მეგობრებმა აქვე ურთიერთს გაუცვლეს მიმდინარე საიუბილეო წლის ვალდებულებანი. თავიანთ კოლექტივების სახელით სიტყვებით გამოვიდნენ და ადიდებული ვალდებულებები იკისრეს სიღნაღიდან **ვ. ჯანიაშვილმა, გ. ჯანგულაშვილმა, დ. ჯანაშვილმა**, გორიდან **ვ. გოგშელიძემ**. ვეშენსკაიადან **ა. ტოლსტოპიატენკომ**. მანვე ვეშენსკელი კოლმეურნეების სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ძველი ანაგის კოლმეურნეობა, რომელსაც ახალგაზრდა-სპეციალისტი ე. ბიგაიშვილი ხელმძღვანელობს.

გორელმა და ვეშენსკელმა სტუმრებმა სამ დღეს დაჰყვეს სიღნაღში, გაეცნენ ქალაქისა და რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ხერსის მეგენაჩვრის საბჭოთა მეურნეობისა და ალ სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის საქმიანობას.

ვეშენსკელის სტუმრები გორის რაიონის მშრომელებსაც ეწვიენენ. გაეცნენ მათს მიღწევებს, შრომის მოწინავე ადამიანებს. გორელებმა მათ გულთბილი შეხვედრები მოუწყვეს.

ნამდვილად ძმური და ამაღლებული იყო ვეშენსკელ მეგობართა გაცილება. რიგელ ამასწინათ თბილისს აღრდრომზე მოხდა.

ჯხა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! მხურვალე სალამი თქვენს ხალხს, ფსნარ დონს, მის მესაიდუმლესა და ჩვენს მეგობარს მიხეილ შოლოხოვს!

ვლ. მეედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: როსტოვის ოლქის ვეშენსკაიას რაიონის დელეგაციის წევრები (მარცხნიდან) — პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივანი ი. ზიმოვნოვი, ვეშენსკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ვიპრიაშკინი, საბჭოთა მეურნეობა „კრუჟილინსკის“ განყოფილების მმართველი მ. კარგინი, კოლმეურნეობა „წყნარი დონის“ თავმჯდომარე ა. ტოლსტოპიატენკო.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

ა ს ე ემზადებიან

ლექციები, მოხსენებები, თემატური გადოფენები

□ **ქუთაისი.** პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეიმუშავა მზადების საერთო-საქალაქო გეგმა, რომლის მიხედვით ეწყობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლი. მოხსენებანი დიდ ტიროზე წარწერილია — „ვინც იყოს თქვენი მობრძანებულ!“ ვის არ შეხვედებით აქ. მეურნეობათა ხელმძღვანელებს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებს, სპეციალისტებს, პარტიულ და კომკავშრომულ მუშაკებს.

ვის ელიან ისინი, ვის უყლოკავენ ვითარ მობრძანებას?

მეგობრებს შორეული დონიდან, ვეშენსკაიადან, სწორედ ამ მიწაწყლიდან, სადაც რუსი ხალხის და ჩვენი ეპოქის სასიქადულო მწერალი მიხეილ შოლოხოვი ცხოვრობს. ისინი პირველად ჩოდი ჩამოდიან სიღნაღში. სიღნაღელებმა და დონელმა კაზაკებმა კარგახანია ერთმანეთს. ძმობა და მეგობრობა შეპფიცეს. შეპფიცეს და არც ყოლაფრიათ მისთვის. მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. არ ყოფილა ზეიმი თუ რამ დღესასწაული, რომ მეგობრებს ველოდოდად არ მელოდოთ ერთმანეთისათვის. შეჯიბრებაშიც ჩაებნენ, ისინი ერთმანეთისაგან სწავლობენ, ურთიერთს უზიარებენ გამოცდილებას; და ანა მარტო შრომაში! ამ ორი მოძმე ხალხის ყოფასა და ცხოვრებაში, ტრადიციებსა და ჩვეულებში. ამ ძმობას აკავშირებს და აღფოთებს შრომის, ბრძოლისა და გამარჯვებათა ორმოცდაათი წელი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ხალხები სულ მალე სამეგალითოდ ეღლესასწაულებენ.

სწორედ ამ დღეებში ვეშენსკელებმა გადაწყვიტეს ენახათ მეგობრები თავიანთ მიწაწყალზე, მეილოცოთ ეროვნული დღესასწაული, — 25 თებერვალი, ესურვებინათ წარმატებანი შრომასა და პირად ცხოვრებაში.

და, აი, შეხვდნენ ერთმანეთს. რუს მეგობრებთან ერთად სიღნაღელებს ეწვიენენ გორის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები. რომელებთანაც ვეშენსკელებს ალაბერებთ შეკიბრება, მეგობრობა.

ვეშენსკაიადან იყვნენ: პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივანი **ი. ზიმოვნოვი**, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ნ. ვიპრიაშკინი**, კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ა. ტოლსტოპიატენკო**, საბჭოთა მეურნეობა „კრუჟილინსკის“ განყოფილების მმართველი **მ. კარგინი**. გორელი მეგობრებიდან სიღნაღელებს ესტუმრნენ: სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი **ვ. კვალიაშვილი**, სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი **ვ. გოგშელიძე**, ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ვ. სუხიშვილი**.

მეგობართა ეს შეხვედრა მარტო საზეიმო და სადღესასწაულო როდი იყო. ეს იყო ნამდვილი საქმიანი კრება, მსჯელობა. რაიონის სახალხო მეურნეობის მოწინავე მუშაკთა ამ შეკრებაზე, სიღნაღის რაიონის აქტივმა, სტუმრებთან ერთად, შეაჯამა მეცხრე ხუთწლიდის პირველი წლის შედეგები, გამოაკვეთა ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი კიდევ უფრო უხვი სახალხო დოვლათის შექმნისათვის.

პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა **დ. ელანშვილმა**, სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **მ. კარწაშვილმა**, პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივანმა **ი. ზიმოვნოვმა**, გორის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა **ვ. კვალიაშვილმა** აღნიშნეს, რომ ამ რაიონების მშრომელებმა პირნათლად შეასრულეს გასულ წლის ნაკისრი ვალდებულებები სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და რეალიზაციის საქმეში.

ყველთბილი და ამაღლებული იყო პარტიის ვეშენსკაიას რაიკომის მდივნის ივანე **ზიმოვნოვის** სიტყვა.

— მოვდიოდით რა ჩვენი სამშობლოდან, — თქვა მან, — თან წამოვიღეთ ჩვენი თანამემამულეების — დონელი კაზაკების, ჩვენი სასიქადულო შვილისა და ქართველი ხალხის დიდი მეგობრის მიხეილ შოლოხოვის მხურვალე სალამი და ალითილი სურვილები. ჩვენ თქვენთან, ძვირფასო მეგობრებო, მზიერ საქართველოში თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. მე და ალბათ თქვენც, ჩვენს ურთიერთობაში ყველაზე მეტად მახარებს მეგობრობა ნამდვილად ძმური, გულწრფელი და სამარადჟამო.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის ხალხები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის დიდი ზეიმს ალინიშნავენ, ეს ბრძოლებიან, ჩვენ ძალა შეგვიძლია ერთმანეთს. ჩემი და ჩემი ხალხის სურვილია ეს სახარული განვიცადოთ ჩვენს მეზობლებს, მობრძანდით, მეიღეთ დონელი ალბალების პური და მარილი.

მეგობრებმა აქვე ურთიერთს გაუცვლეს მიმდინარე საიუბილეო წლის ვალდებულებანი. თავიანთ კოლექტივების სახელით სიტყვებით გამოვიდნენ და ადიდებული ვალდებულებები იკისრეს სიღნაღიდან **ვ. ჯანიაშვილმა, გ. ჯანგულაშვილმა, დ. ჯანაშვილმა**, გორიდან **ვ. გოგშელიძემ**. ვეშენსკაიადან **ა. ტოლსტოპიატენკომ**. მანვე ვეშენსკელი კოლმეურნეობის სახელით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ძველი ანაგის კოლმეურნეობა, რომელსაც ახალგაზრდა-სპეციალისტი ე. ბიგაიშვილი ხელმძღვანელობს.

გორელმა და ვეშენსკელმა სტუმრებმა სამ დღეს დაჰყვეს სიღნაღში, გაეცნენ ქალაქისა და რაიონის ღირსშესანიშნავ ადგილებს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ხერსის მეგენაჩვრის საბჭოთა მეურნეობისა და სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის საქმიანობას.

ვეშენსკელის სტუმრები გორის რაიონის მშრომელებსაც ეწვიენენ. გაეცნენ მათს მიღწევებს, შრომის მოწინავე ადამიანებს. გორელებმა მათ გულთბილი შეხვედრები მოუწყვეს.

ნამდვილად ძმური და ამაღლებული იყო ვეშენსკელ მეგობართა გაცილება. რიგელ ამასწინათ თბილისს აეროდრომზე მოხდა.

ჯხა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! მხურვალე სალამი თქვენს ხალხს, ფსნარ დონს, მის მესაიდუმლესა და ჩვენს მეგობარს მიხეილ შოლოხოვს!

ვლ. მეედლიშვილი.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

კავშირგაბმულობა — თანამედროვე მოთხოვნების დონეზე

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კაპიტალური დაბანდება რესპუბლიკის კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებაში და თანამედროვე ტექნიკით კავშირგაბმულობის ყველა დარგის აღჭურვაში თითქმის ერთისამად გაიზარდა. ამან შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო კავშირგაბმულობის საშუალებათა სიმძლავრე და განხორციელებულიყო მათი მოდერნიზაცია. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ წარმატებით შეასრულა ძირითადი ფონდები. ამ წლებში 16 ათასი ნომერი საერთო სიმძლავრის ავტომატური სატელეფონო სადგური.

განხორციელდა რუსთავსა და თბილისს შორის სრული ავტომატური სატელეფონო კავშირგაბმულობის სისტემის მშენებლობა. საკავშირო-ატლანტიკურ გადაეცა კავშირგაბმულობის კვანძების შენობები ბორჯომში, ახალციხეში, ჩოხატაურში, მახარაძისა და ხობში, თბილისის კავშირგაბმულობის გარაჟი და მთელი რიგი სხვა ობიექტები.

კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის დიდი შრომატევადი მუშაობა გასწიეს გასულ წელს ელექტროტექნიკურ მუშაკებმა. მაგალითად, მათ დაამონტაჟეს და საკავშირო-ატლანტიკურ გადასცეს ძძლავრი სატელევიზიო გადამცემი, რამაც შესაძლებელი გახადა მიღების თბილისის ზონაში დაყენებულიყო მეორე რესპუბლიკური პროგრამის გადაცემა. ამენდა და საკავშირო-ატლანტიკურ გადაეცა 128 კილომეტრი სიგრძის ახალი რადიოსარელეო ხაზები, 13 პუნქტში დადგმული დამატებითი ტელემაუწყებლობის რეტრანსლატორები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა რესპუბლიკის მთელ ქალაქებსა და რაიონებში პროგრამათა მიღების ხარისხი. ახალი ინტერნატურის და სისტემების დადგმამ უზრუნველყო საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება. ახლა რესპუბლიკის ყველა რაიონულ ცენტრსა და ქალაქს აქვს თბილისთან ორი და მეტი სადღეღამისო სატელეფონო კავშირის არხი.

დაიწყო თბილის-სოხუმისა და თბილის-ორჯონიკიძის მძლავრი საკაბელო მაგისტრალების მშენებლობა, რომელებიც შექმნიან ასობით მაღალხარისხოვან საქალაქთაშორისო სატელეფონო არხს. ამ მაგისტრალების მშენებლობის დამთავრების შემდეგ ამოქმედდება თბილისის ავტომატური სატელეფონო კავშირი ჩვენი ქვეყნის ქალაქებთან და რესპუბლიკის შიგნით, ანუ უკვე მიმდინარე ხუთწლედში დამთავრდება ის ძირითადი სამუშაოები, რომელებიც უზრუნველყოფენ, რომ საქართველო ჩაერთოს ჩვენი ქვეყნის კავშირგაბმულობის ერთიან ავტომატიზებულ სისტემაში.

ყოველივე ამ წარმატებების შესახებ ლაპარაკი იყო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს კოლეგიისა და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 29 თებერვალს გაიმართა თბილისში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრმა **კ. ქეკელიძემ**. კამათში მონაწილეობდნენ აჭარის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს უფროსი **პ. გაბიძაშვილი**, ხაშურის საელექტროკავშირო-ტექნიკური კვანძის უფროსი **ი. ნოზაძე**, აფხაზეთის კავშირგაბმულობის საწარმოო-ტექნიკური სამმართველოს უფროსი **ვ. ქეკელია**, თბილისის ფოსტამტის უფროსი **პ. გაბიტაშვილი**, კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე **კ. კარგარეთელი**, მთავარი საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტი **მ. გიკაშვილი** და სხვები.

სხდომაზე გამოსულებმა აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მუშაკებს 1971 წელს არ მიუღწევიათ სჭირო მკვეთრი გარდატეხისთვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში და ვერ აღმოფხვრეს ბევრი ნაკლი კავშირგაბმულობის ექსპლოატაციის ორგანიზაციასა და ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მომსახურების კულტურაში, რომელიც უველგან როდი შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

მიიღეს დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს მიმდინარე წელს აღმოფხვრან სამინისტროსა და მისადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განაკითარონ რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სისტემები.

სხდომას დაესწრო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ლაბახუა**.

(საქდესი).

პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ შეადგინა ლექციების ციკლი.

უკვე შეუდგნენ ლექციების და მოხსენებების კითხვას. პარტიის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტში ეწყობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები.

□ **ახალქალაქი.** პარტიის რაიონულმა კომიტეტმა დაიწყო ლექციების კითხვა სსრ კავშირის დაარსების 50-ე წლისთავის შესახებ.

თემაზე „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში“ ლექციები წაიკითხეს სოფლებში — ჩუნჩხა, პტენა, ზაკვი, კოკეო, ოდო, — პარტიის რაიკომის ლექტორთა ჯგუფის წევრებმა ნ. ალელიშვილმა, მ. მოსაკიანმა, ა. შიბაქიანმა, ვ. გალუსტიანმა.

□ **ზუგდიდი.** პარტიულ მასობრივ ორგანიზაციებმა აამოქმედეს აგიტპუნქტები, გადაახალისეს აგიტატორები და ინფორმატორები. ენერგიული და მომზადებული ამხანაგებით, რომელიც ხაუბრებსა და აგიტაციას ატარებენ ხალხთა მეგობრობის თემებზე. ყველგან იკითხება ლექციები, ტარდება კონფერენციები, კითხვა-პასუხის საღამოები, ეწყობა შეხვედრები ქალაქში მომუშავე სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან.

ბევრ კარგ ღონისძიებას ატარებს ენგურჰესის მშენებლობის პარტიული კომიტეტი (მდივანი ვ. გუნავა). ენგურჰესს აშენებენ სხვადასხვა ეროვნების მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ამიტომ მათთვის პარტიული კომიტეტი აწყობს ლექციებს, მოხსენებებს და კითხვა-პასუხის საღამოებს სსრ კავშირის შექმნის ისტორიულ მნიშვნელობაზე, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობაზე.

□ **წალენჯიხა.** წალენჯიხის რაის საბჭოთა მეურნეობაში ათამდე ეროვნების მუშა, მუშაობს, მეურნეობის პარტიულმა კომიტეტმა (მდივანი პ. ყურაშვილი) დაასახა ღონისძიებანი იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის.

ორჯონიკიძის, ჯვარის, ლიის, ობუჯის, ჯგალის, პირველი მაისის საკოლმეურნეო, წალენჯიხის სარაიონო, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკებმა მოაწყეს ხალხთა მეგობრობის ამსახველი სურათების, წიგნებისა და საინტერესო დოკუმენტების გამოფენები.

□ **ცაგერი.** „სოფელი ნასპერი წინათ და ახლა“. — ასეთი იყო ზეპირი ჟურნალი, რომელიც მოეწყო ნასპერის სასოფლო კლუბში.

ჟურნალის პირველი გვერდი დაეთმო თემას: „ჩვენი სოფელი წინათ“, მეორე — „ჩვენი სოფელი დიდ სამამულო ომში“, მესამე — „ჩვენი სოფელი ახლა“. ზეპირი ჟურნალით, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიეძღვნა, დამსწრეები კმაყოფილი დარჩნენ.

□ **აბაშა.** პარტიის რაიკომის ბიურომ შექმნა საიუბილეო ჟრმისია, რომელმაც გადადგა პირველი ნაბიჯები.

საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იმართება ლექცია-მოხსენებები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახებ.

საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილების ლექტორებმა წაიკითხეს ლექციები თემებზე: „სსრ კავშირი ძმობისა და მეგობრობის ოჯახია“, „საბჭოთა კავშირის ბრძოლა მშვიდობისათვის“, „ომამე რესპუბლიკები მეცხრე ხუთწლედში“.

რაიონულ ბიბლიოთეკაში მოეწყო ფოტოდოკუმენტების გამოფენა „სსრ კავშირის 50 წლისთავი“.

ეჯიგრეგაში გამარჯვებული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილეს პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების 1971 წლის მეოთხე კვარტალის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და დამტკიცეს გამარჯვებულნი.

შეჯიბრების გამარჯვებულმა — პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს თბილისის № 1 სტამბის კოლექტივმა წარმატებით გაანალდა ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. მეოთხე კვარტალში სახაჭონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა აქ 103,8 პროცენტით შესრულეს. წიგნის პროდუქციისა — 102,2 პროცენტით, პროდუქციის რეალიზაციის დავალება — 102,8 პროცენტით, ოფსეთის გეგმა — 132,4 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 21,6 პროცენტით. საწარმო ორკვლამაციოდ მუშაობდა. სტამბის კოლექტივს მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

პროკურატურა და საზოგადოებრივობა

პროკურატურის ორგანოების და საგამომძიებლო აპარატის მუშაობის გაუმჯობესება და გარდაქმნა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ წარმართავენ შემდგომში თავიანთ საქმიანობას ეს ორგანოები, როგორ განახორციელებენ სოციალისტური კანონიერების უმაღლესი დაცვას და კანონების შესრულებაზე უმაღლეს ზედამხედველობას.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთელი სიგრძე-სიგანით იქნა დასმული საკითხი პროკურატურის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და გარდაქმნის შესახებ, რათა უმოკლეს დროში მკვეთრად შემცირდეს დანაშაულობა, აღმოიფხვრას ყველა მეზეზი და პირობა, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას, გაძლიერდეს ბრძოლა სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში ჩამოყალიბებულია ის ძირითადი ამოცანები, რომლებსაც ამჟამად ჩვენი პარტია აყენებს იუსტიციის, და კერძოდ პროკურატურის ორგანოების წინაშე სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სოციალისტური კანონიერების პრინციპი პროკურატურისა და გამომძიების ორგანოების მოღვაწეობაში იქნეს განსაკუთრებულ ძალას. ამ პრინციპით გამსჭვალული უნდა იყოს პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევი პირის მთელი მოქმედება.

პროკურატურის ორგანოების მოღვაწეობა თანამედროვე ეტაპზე წარმოუდგენელია, თუ მათს მუშაობაში აქტიურად არ მონაწილეობს საზოგადოებრიობა. სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში ყველგან და ყოველთვის უნდა იყოს გამოყენებული საზოგადოებრიობა, უნდა იგრძნობოდეს მისი დახმარება და ძალა. პროკურატურისა და გამომძიების ორგანოებმა უფრო მჭიდრო კავშირი უნდა დაამყარონ პარტიულ, კომკავშირულ, პროფკავშირულ აქტივთან. უნდა განმტკიცდეს აგრეთვე კავშირი არასრულწლოვანთა საქმეების, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე სამეთვალყურეო, სოციალისტური კანონიერების დაცვის კომისიებთან.

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში უფრო ფართოდ უნდა იყონ ჩაბმული ამხანაგური სასამართლოები, სახალხოსარაზმელები, საზოგადოებრივი ავტონისპექტორები, პროკურორის საზოგადოებრივი თანაშემწეები და სხვ.

ადმინისტრაციული ორგანოების მოღვაწეობაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმა უნდა წარმოდგენილს ამ ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საზოგადოებრიობის ჩაბმა პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების ფუნქციების განხორციელების დროს სრულებითაც არ ნიშნავს ამ ორგანოების როლის შესუსტებას ან მათი პროცესუალური ფუნქციების საზოგადებრიობისათვის გადაცემას. საზოგადოებრიობის მონაწილეობა მიზნად უნდა ისახავდეს პროკურატურისა და გამომძიების ორგანოების ფუნქციების განხორციელების დროს ხელის შეწყობას, დახმარების აღმოჩენას და არა ამ ორგანოების თანამშრომელთა შეცვლას.

პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების წინაშე პარტია აყენებს იმ ამოცანას, რომ უფრო გაძლიერდეს სამართლებრივი პროპაგანდა მასებში. ამ პროპაგანდის გაძლიერება ამჟამად პროკურატურის ორგანოების მარტო უფლებას კი არ წარმოადგენს, არამედ პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევი პირის სამსახურებრივი მოვალეობაა. მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა ხელს უწყობს მოქალაქეთა მართლშეგნების ამაღლებას, მასების ინიციატივის განვითარებას, მოქალაქეთა მობილიზაციას დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის დარგში, აგრეთვე სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სამართლებრივი პროპაგანდის გაძლიერებისათვის საჭიროა, რომ პროკურატურისა და გამომძიების ორგანოების თანამშრომლებმა გამოიყენონ ამ მუშაობის სხვადასხვა ფორმები. ისინი უფრო ხშირად უნდა გამოვიდნენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომის სხდომებსა და სესიებზე. უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროკურორებისა და გამომძიებლების გამოსვლას პრესაში, რადიოსა და ტელევიზიაში. ისინი უფრო ხშირად უნდა გამოდიოდნენ მშრომელთა კოლექტივების წინაშე, სამართლის საბალხო უნივერსიტეტებში, საარჩევნო უბნებში და სხვ.

უკანასკნელ პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში გაუმჯობესდა პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განხორციელება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა კანონიერება ირღვევა სამინისტროებში, უწყებებსა და მათდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, აგრეთვე კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაში.

საერთო ზედამხედველობის განხორციელების დროს ყოველივეს არ ხდება სათანადო რეაგირება პრესაში გამოქვეყნებულ ამ მასალებსა და მშრომელთა საჩივრებზე, რომლებიც ამხილებენ ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებს. პრაქტიკის შესწავლა მოწმობს, რომ საერთო ზედამხედველობის განხორციელება ყოველთვის არ მოიცავს ისეთ დარგებს, როგორიც არის სახელმწიფო დისციპლინის დაცვა, კოლმეურნეობის მიწათსარგებლობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოღვაწეობაში კანონიერების დაცვის საკითხის შემოწმება.

მაგალითად, დმანისის რაიონში 18 საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობაა, მაგრამ 1968-1969 წლების განმავლობაში არც ერთხელ არ შემოწმებულა საკითხი გადოებრიობისათვის გადაცემას. საზოგადოებრიობის მონაწილეობა მიზნად უნდა ისახავდეს პროკურატურისა და გამომძიების ორგანოების ფუნქციების განხორციელების დროს ხელის შეწყობას, დახმარების აღმოჩენას და არა ამ ორგანოების თანამშრომელთა შეცვლას.

პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების წინაშე პარტია აყენებს იმ ამოცანას, რომ უფრო გაძლიერდეს სამართლებრივი პროპაგანდა მასებში. ამ პროპაგანდის გაძლიერება ამჟამად

ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ

დელი

ხელშეკრულების დიდი როლი

2 მარტი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი განაგრძობს წინასაარჩევნო მოგზაურობას ქვეყანაში.

ინდოეთი ესწრაფვის, რომ ინდოეთის ოკეანე გახდეს მშვიდობის ზონა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა დიბრუგარჩში (ასამის შტატი) გამართულ მიტინგზე. ამ შტატის სხვადასხვა ქალაქში გამართულ მიტინგებზე ინდირა განდი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ხაბეთთა კავშირთან დადებულმა მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებამ დიდი როლი შეასრულა ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ განვითარებაში.

შეეხო რა ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ „ინდოეთი მუდამ ესწრაფვოდა მეზობელ პაკისტანთან მეგობრული ურთიერთობას დამყარებას.

ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ

● ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡᲐ კუბის გაზეთ „ჰუვენტუდ რებელდისათვის“ ტელეფონით მიცემულ ინტერვიუში დიდი მადლობა გადაუხადა კუბისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების ხალხებს, აგრეთვე მთელი მსოფლიოს პროგრესულ კაცობრობას იმისათვის, რომ სოლიდარობას უცხადებენ მის ხსნას.

● ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲢᲐᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ კომისია შეუდგა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციის კანონპროექტების განხილვას. კომისია მთ რამდენიმე კვირას განიხილავს. ხვალ ამ კანონპროექტების განხილვას დაიწყებს აგრეთვე ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისია.

● ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ბუნდესტაგმა დაამტკიცა ხელშეკრულება ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მთ წიაღში ატომური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობათა იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ. რატიფიკაციის შესახებ კანონი ერთხმად მოიწონა პარლამენტმა.

● ᲛᲐᲠᲝᲙᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲛ ჰასან II გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის აგრესიას ლიბანის წინააღმდეგ.

● ᲚᲘᲑᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ დედაქალაქში გაიხსნა ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი ბაზრობაა აფრიკის კონტინენტზე. ბაზრობაზე, რომელიც მიმდინარე წელს აღნიშნავს 10 წლის იუბილეს, წარმოდგენილია 32 სახელმწიფო, მათ შორის შვიდი სოციალისტური ქვეყანა.

● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „Ბ-52“ ᲢᲘ�პᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ბომბდამშენებმა, რომლებსაც ბაზა აქვთ ტაილანდში, კვლავ ბარბაროსულად დაბომბეს სამხრეთ ვიეტნამის პროვინციები. ამ ბოლო ორი დღე-ღამის მანძილზე ამერიკის ავიაციამ სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორია 23-ჯერ დაბომბა.

● ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ და სპეციალისტები ეხმარებიან ისრაელს სამხედრო მრეწველობის შექმნაში. როგორც ამერიკის პრესა აღნიშნავს, 1967 წლიდან ისრაელში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩავიდა 300-ზე მეტი კვალიფიციური სპეციალისტი.

ᲤᲐᲥᲩᲔᲑᲘ

ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲡᲯᲔᲚᲡ

სან-ხოსე (კალიფორნიის შტატი). 2 მარტი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ბასსაკოვი გვატყობინებს:

ანჯელა დევისის „საქმის“ გამო მიმდინარე პროცესზე გრძელდება სასამართლო ყიურის წევრთა შერჩევა.

ყიურის შერჩევის ტაქტიკა, რომელსაც მოსამართლე რ. არნასონის მხარდაჭერით ადგას პროკურორის თანაშემწე ა. ჰარისი, მოწმობს, რომ კალიფორნიის რეაქციას ხელი არ აუღია მამაცი კომუნისტისათვის ანგარიშის გასწორების გეგმებზე, — ასე განმარტავენ სან-ხოსეს პროცესის პირველი დღეების მეშაობის შედეგებს ა. დევისის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც საფუძვლიან შეშფოთებას გამოთქვამენ ამერიკელი პატრიოტი ქალიშვილის ბედის გამო.

საერთო აზრით, ბრალდება ა. დევისის „საქმის“ პროცესზე ახლა ცდილობს, რომ ყიურის შემადგენლობაში არ მოხვდნენ არც მუშათა კლასის წარმომადგენლები, არც ახალგაზრდა ამერიკელები, არც ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები.

სასამართლოს დღეკვანდელ სხდომაზე დაცვის წარმომადგენლებმა კვლავ მიაპყრეს სასამართლო ხელისუფალთა ყურადღება ყოვლად გაუმართლებელი ნერვიულობის შეუწყნარებელ ვითარებას, რომელსაც პროკურატურა ქმნის ანჯელა დევისის პროცესის გამო.

ამას წინათ ანჯელა დევისის დასაცავად მოწყობილი დემონსტრაციის მონაწილეთა დაპატიმრებანი, რაც უჩვეულოა თვით კალიფორნიისათვისაც კი, სასამართლოს დარბაზში შემსელელთა დაშვების შეზღუდვა, აგრეთვე ადგილობრივი პრესის ტენდენციური კომენტარები სრულიადაც არ უწყობენ ხელს სასამართლო პროცესის ობიექტურ მსელელობის.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ

ᲞᲔᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲘ

2 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ჩერნიშოვი გვატყობინებს: ათობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ათასობით კერძო პირი, გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მათ შორის სენატორები, წარმომადგენელთა პალატისა და უმაღლესი სასამართლოს წევრები — აი პენტაგონის მიერ ორგანიზებული ყოვლისმომცველი თვალთვალის ობიექტი.

ეს ცნობილი გახდა დოკუმენტიდან, რომელიც უმაღლეს სასამართლოს გაუგზავნა სენატორმა ს. ერვინმა, კონსტიტუციური უფლებების საკითხთა კვეკომისიის თავმჯდომარემ.

ქვეკომისია, რომელსაც იგი მეთაურობს, დიდი ხანია იძიებს ამერიკაში სხვადასხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ თვალთვალის სისტემას, რომელიც სკანდალურად ფართო მასშტაბს იღებს.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ, დაწყებული 1967 წლიდან, სამხედრო დაზვერვა „უთვალთვალდა უმაღლესი სასამართლოს წევრთა, ბევრი კონგრესმენისა და სენატორის, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლთა პოლიტიკურ საქმიანობას“.

იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის, რომელთაც უთვალთვალებდნენ, არიან სენატორები ე. მასკი და ჯ. მაკგოვერნი, რომლებმაც პრეზიდენტის პოსტზე დაასახელეს თავიანთი კანდიდატურები დემოკრატიული პარტიისაგან, სენატორები ე. კენედი, გ. ჰიუზი, ფ. ჰარისი, ყოფილი სენატორები რ. იარბორო და ი. მაკკარტი.

ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲗᲐ ᲓᲝᲜᲔᲖᲔ

ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲗᲘ. 2 მარტი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებმა გადაწყვიტეს ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის განმტკიცებისა და განვითარების მიზნით დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲠᲐ ᲦᲘᲠᲡ „ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲜᲘ“?

2 მარტი. (საკდესი). 50 ათასი დოლარი — ამდენი თანხა მოითხოვა თავისი „ჩვენებებისათვის“ გამოძიების ფედერალური ბიუროს ინფორმატორმა ვინმე ბოიდ დუგლასმა, რომელიც „ბრალდების მთავარი მოწმეა“ პენსილვანიის შტატის ქალაქ ჰარისბერგში მიმდინარე პროცესზე, სადაც ასამართლებენ ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა ჯგუფს კათოლიკე მღვდელის ფილიპ ბერიგანის მეთაურობით.

ამას მოწმობენ დოკუმენტები, რომლებიც ხელში ჩაუვარდა „ჰარისბერგის შვიდეულის“. დაცვის. დაცვამ, კერძოდ, სასამართლოს წარუდგინა დუგლასის წერილი გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტისადმი, რომლის მეტსახელია „მოლი“. წერილში იგი თანხმობას აცხადებს „მომზადოს პროცესისათვის საჭირო მასალები“ და გასამრჯელოდ თხოულობს 5 ათას დოლარს წინდაწინ და დანარჩენ 45 ათასს — სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგ.

დაცვის წარმომადგენლებმა მოითხოვეს დაუყოვნებლივ გამოიძახონ დუგლასის „კაბინერი გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან, მაგრამ მოსამართლე დ. გერმანმა უარყო ეს მოთხოვნა.

დუგლასის როლი ამხილა ბრალდების ზოგიერთმა მოწმემაც კი, რომელთა ჩვენებებს, გასამართლების ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, უნდა „იმხილებინათ“ ფ. ბერიგანი და მისი ამხანაგები წაყენებულ „ბრალდებებში“.

„ეს ნამდვილი ინსცენირებაა“,— განაცხადა ერთ-ერთმა ბრალდებულმა ეგბალ აჰმედმა.

ჰარისბერგში მიმდინარე გასამართლების ყოველი ახალი დღე ცხადყოფს, რომ ფილიპ ბერიგანისა და მისი მეგობრების „საქმე“ ფაქტიურად შეთითხნეს ამერიკის ხელისუფლებმა, რომლებიც ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ, რათა ანგარიში გაუსწორონ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსის მოწინააღმდეგეებს.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲥᲢᲔᲑᲘ

ᲑᲔᲘᲠᲣᲗᲘ

2 მარტი. (საკდესი). წუხელ ისრაელის მხედრიონმა განაახლა შეიარაღებული აგრესია მეზობელი არაბული ქვეყნების — სირიისა და ლიბანის წინააღმდეგ.

ისრაელის სამხედრო თვითმფრინავებმა ბარბაროსულად დაბომბეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი სირიის მიწა-წყალზე, რომლებიც მდებარეობენ დაახლოებით 8-12 კილომეტრზე სახღვრიდან. სირიის საჰაერო თავდაცვის ქვეშეხების ძლიერმა ცეცხლმა აიძულა ისრაელი სვავები შეეწყვეტათ დაბომბვა და გაქცეულიყვნენ. საჰაერო თავდასხმასთან ერთად ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სირიის ტერიტორიის გოლანის მაღლობების სამხრეთ რაიონებში.

ისრაელის არტილერიამ კვლავ დაუშინა ძმინე ჭურვები მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს ლიბანის სამხრეთში.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ

2 მარტი. (საკდესი). ინგლისის პირსის კომისიამ, რომელიც „არკვევდა“ სამხრეთ როდეზიის აფრიკელი უმრავლესობის დამოკიდებულებას ინგლის-როდეზიის ურთიერთობის „მიზეზსრიგებისადმი“, გამოაცხადა, რომ წყვეტს მოსახლეობის შერჩევით გამოკითხვას და მიმართავს აფრიკელთა აზრის გამოკვლევის „სხვა მეთოდებს“.

კომისიის წევრთა განცხადების თანახმად, გამოკითხვის მსვლელობაში იგი წააწყდა „პრაქტიკული ხასიათის სიძნელეებს, რომელიც ვერ დასძლია“. სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოკითხვის შედეგები ხელსაყრელი არ აღმოჩნდა ინგლისელ კონსერვატორთათვის.

მიუხედავად რასისტული რეჟიმის რეპრესიებისა, სახსრეთ როდეზიის აფრიკელმა მოსახლეობამ გადაჭრით გაილაშქრა ინგლის-როდეზიის გარიგების პირობების წინააღმდეგ, რომელიც ხანგრძლივ ჩაგრას უქადს მას.

ახლა „პირსის კომისია“ შიმართავს სხვადასხვაგვარ მანევრებს, რათა როგორმე იხსნას მდგომარეობა. ეტყობა, სწორედ ამ გარემოებით არის ნაკარნახევი განცხადება, რომ მიმართავენ კომისიის მუშაობის „სხვა მეთოდებს“.

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ ᲘᲑᲠᲫᲕᲘᲡ

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲔᲚᲘ ოკუპანტები არაფერს ერიდებიან, რათა ჩაახშონ იმ ირლანდიელ პატრიოტთა მოძრაობა, რომლებიც იბრძვიან მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, დემოკრატიული რეფორმების გატარების, სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობისათვის.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ინგლისელმა პარაშუტისტმა დაუპატიმრა ლონდონდერის მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილე.

ფოტო იუპი — ახალი ამბების სააგენტოსი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ

ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲗᲐ ᲒᲣᲓᲔ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲛᲨᲘ პირველი ადგილი უჭირავს აღრიცხულ დანაშაულთა რიცხვით. დანაშაულთა უმრავლესობას ნარკომანები სჩადიან, აგრეთვე ალკოჰოლიკები, რომლებიც ქალაქში 300 ათასია.

საფრანგეთის გაზეთი „ორორი“ ბეჭდავს რჩევას ტურისტებისათვის, რომელშიც დაბეჭითებით ურჩევს მათ არ შევიდნენ ნიუ-იორკის მთელ რიგ რაიონებში. გაზეთი თავის რეკომენდაციებს ურთავს რუკას, რომელზეც ქალაქის თითქმის ნახევარი შავი ფერითაა შეღებილი — ამ ადგილებში გამოჩენა სასურველი არ არის არც დღისით, არც ღამით. ტერიტორიის მეორე ნახევარი დაფარულია შტრიხებით — იქ მხოლოდ დღისით ურჩევენ სეირნობას.

(საკდესი).

ᲠᲐᲕᲔᲚᲙᲘᲜᲓᲘ

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲠᲔᲤᲝᲠᲛᲐ

2 მარტი. (საკდესი). პაკისტანის პრეზიდენტმა ზ. ა. ბუტომ გამოაცხადა, რომ ქვეყანაში ხორციელდება მიწის რეფორმა.

რეფორმა ითვალისწინებს, რომ მიწათმფლობელობის ზღვარი წესდება 150 აკრი სარწყავი მიწის დონეზე, ნაცვლად 500 აკრისა, როგორც წინათ იყო. ურწყავი საკარგულების ზღვრული ოდენობა 1000 აკრიდან შემცირდა 300 აკრამდე. ახალი რეფორმის შესაბამისად დიდძალი გამოუყენებელი მიწა შევა სახელმწიფო ფონდში და განაწილდება გლეხთა შორის.

ᲗᲘᲗᲝᲥᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ

ᲡᲣᲒᲔᲠᲜᲣᲚ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐᲓ

ᲓᲔᲚᲘ. (საკდესი). ინდოეთის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის ორგანომ გაზეთმა „ხარავგამ“ გულისწყრომა გამოთქვა კვიპროსის საშინაო საქმეებში საბერძნეთის ხუნტის უცერემონიო ჩარევისა და პრეზიდენტ მაკარიოსის ანარქიულ კამპანიის გამო, რომელიც ათენის პრესამ გააჩაღა არქიეპისკოპოს მაკარიოსის მთავრობის წინააღმდეგ.

კვიპროსის მთავრობის ზოგიერთი მინისტრის გადადგომის შესახებ ათენის სამხედრო რეჟიმის მოთხოვნის გაზეთი აფასებს როგორც აშკარა ზეგავლენას იმ მიზნით, რომ კვიპროსის პრეზიდენტი აიძულონ დაეთანხმოს ამ ულტიმატუმს. ამასთან გაზეთი წერს, რომ „ათენის რეჟიმმა უნდა შეიგნოს, რომ კვიპროსი საბერძნეთის პროტექტორატი არ არის და კვიპროსელ ხალხს მინიჭებული აქვს სუვერენული უფლება აირჩიოს თავისი ხელმძღვანელობა“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ საბერძნეთის სამხედრო რეჟიმი ცდილობს აგრეთვე ხმა ჩააკმენდინოს კვიპროსის პრესას, რომელიც სწორად აშუქებს კუნძულის ამბებს. ყოველივე ეს არსებითად ნიშნავს, რომ ათენი ცდილობს კვიპროსს თავს მოახვიოს საბერძნეთის მსგავსი წეს-წყობილება.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ

ᲰᲐᲘᲜᲠᲘᲰ ᲑᲘᲝᲚᲘ:

ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ

ამ დღეებში, თავის მეუღლესთან ერთად თბილისში სტუმრად იყო მსოფლიოში სახელგანქმული დასავლეთგერმანელი მწერალი, რომანისტი, პრესაიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პენ-კლუბის (მწერალთა საერთაშორისო გაერთიანება) პრეზიდენტი ჰაინრიხ ბიოლი.

დღესდღეობით ჰაინრიხ ბიოლი ბიურგერული გერმანიის, შეიძლება ითქვას, გერმანულენოვანი სამყაროს რეპრეზენტანტია. იგი ახლა გერმანიისათვის დაახლოებით იმავე როლს ასრულებს, რასაც 30-იან წლებში გერჰარტ ჰაუპტმანი, ხოლო 40-50-იან წლებში — თომას მანი.

ბიოლის გვერდით ვხვდებით ძალიან საინტერესო და ზოგიერთ შემთხვევაში არანაკლებად ნიჭიერ მწერლებს (მაგალითად, გიუნტერ გრასს), მაგრამ მათ თითქოს საზოგადო მოღვაწის ჰათოსი აკლიათ. ისინი ჰ. ბიოლთან შედარებით მეტნაკლებად „უტესაიდერებენ“, ფართო აზრით, ეგოცენტრიკოსები არიან — ჰაინრიხ ბიოლი კი თანამედროვე ბიურგერულ-ჰუმანისტურ გერმანიაში საყოველთაოდ აღიარებულია.

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲓᲚᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲰᲐᲘᲜᲠᲘᲰ ᲑᲘᲝᲚᲡ ᲛᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲩᲕᲜᲘᲠᲐ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲛᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡᲢᲛᲐ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ. ᲙᲕᲘᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲨᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲛ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲢᲔᲙᲡᲢᲘ.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: *რა მიზნით ჩამოხვედით ჩვენ საქართველოში?*

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ჩემი ქართველი მეგობრების სანახავად, რომლებიც ამ საქართველოში პირველად ყოფნის დროს შევიძინე. ესენი არიან ახალგაზრდა ქართველი გერმანისტები, ჩემი ნაწარმოებების ქართულ ენაზე მთარგმნელები და ფილოსოფოსები. 1966 წელს მე შათ დავპირდი, რომ უეჭველად ჩამოვიდოდი კიდევ საქართველოში რაც შეიძლება მალე. სამწუხაროდ, აქამდე ვერაფერით მოვახერხე დაპირების შესრულება...

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: *1966 წელს უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას თქვენ შეგიკითხნენ, ხომ არ აპირებდით წიგნის დაწერას საქართველოზე. თქვენ უპასუხეთ, მ დღეში ახალი ქვეყნის, ჩემთვის უცნობი ერის გაცნობა შეუძლებელია, მე პატივს გცემთ თქვენ და ნაჩქარევად არაფერს დაგწერ თქვენს ქვეყანაზეო. სანამდე კარგად არ გავიცანი ირლანდია (ბიოლს იქ სახლი აქვს, რომელშიც ახლა მისი უფროსი ვაჟი და რძალი ცხოვრობენ), არაფერი დამიწერია — განაცხადეთ თქვენ მაშინ. და ყოველივე ამის მიუხედავად, მაინც გვაინტერესებს (მართალია, ამჯერადაც მხოლოდ სამი დღე დაჰყავით თბილისში), რას მიიჩნევდით ჩვენს ეროვნულ თავისებურებად, თუ კი ასეთი შეამჩნიეთ?**

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ალბათ ბანალური პასუხი იქნება, მაგრამ ყველაზე მეტად ეს მომხვდა თვალში: თქვენი გულითადობა, ადამიანური სითბო, რაც უცნობებთან ურთიერთობაშიც, ქუჩაშიც ადამიანებზე უბრალო დაკვირვებითაც შესამჩნევია...

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: *ჩვენთან დიდი დავა გამოიწვია მ. ბერძენიშვილის ქანდაკებამ — „მუზამ“, რომელიც თქვენ დღეს ნახეთ ფილარმონიის ახალი შენობის წინ. რას იტყოდით მასზე?*

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მე მომწონს...

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: *ზოგნი მას არაბუნებრივად დიდ და გრძელ ხელებს უწუნებდნენ...*

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ნამდვილ ხელოვნებაში არასოდეს არ იცვენ სამეტრიულობასა და პროპორციულობას. ფაქტიურად, ემპირიულადაც არ არსებობს ამსოლუტურად სიმეტრიული და პროპორციული ადამიანი. ხელოვნების ნაწარმოებისადმი ასეთი კრიტერიუმის მიყენება უკანონოა. ვან გოგის ადამიანებს ხან ერთი ფეხი უფრო გრძელი აქვთ, ხან რომელიმე ხელი... ხელოვნების ნაწარმოების მიმართ ასეთი ბრალდების წაყენება ხელოვნების პროფანაციაა. ჩემი აზრით, ეს ქანდაკება ეროვნული, ქართული და ევროპულ-მაჩვენელი ელემენტების შერწყმის შედეგია.

ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐ: *როდის ჩამობრძანდებით კვლავ საქართველოში?*

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: მინდა რაც შეიძლება მალე ჩამოვიდე. შეიძლება გაისადაც. მარნეულია მაშინ ჩამოვიდე, როცა პენ-კლუბის პრეზიდენტი ალარ ვიქნები. არ მიყვარს ოფიციალური ცერემონიები, მინდა ჩემი ქართველი მეგობრების პირად სტუმრად ჩამოვიდე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

1972 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲛᲐᲠᲢᲘ.

ᲞᲠᲔᲡᲐ Რ. ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲯᲝᲣ ᲔᲜ-ᲚᲐᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. 2 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში ზიგლერმა გამოაცხადა, რომ პრეზიდენტი რ. ნიქსონი შეხვდა კონგრესში რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელობას და გააცნო მათ პეკინში თავიანი მოგზაურობის შედეგები.

უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვებზე, ზიგლერმა უარი თქვა ეცნობებინა, თუ რას ეხებოდა კონკრეტულად ამჯერად რ. ნიქსონის საუბარი კონგრესის ლიდერებთან. იგი ამტკიცებდა, რომ თავადობამ ჩინეთში პრეზიდენტის ვიზიტის შესახებ ანგარიში ჯერ ბაბბოა ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის ჰ. კისინჯერის პრეს-კონფერენციაზე შანჰაიში, რომელზეც ოდესღაც ცნობილია, მან მხოლოდ მოკლედ ჩამოაყალიბა „ნიქსონ-ჯოუ ენ-ლაის კომუნიკეს“ შინაარსი.

ამ დარეკვებას ნიუიორკელი პოლიტიკური მიმოხილველები იმის ნიშნად მიიჩნევენ, რომ თეთრი სახლი არ აპირებს გააშუქოს პეკინში წარმოებული მოლაპარაკების ორსი. „ამ მოლაპარაკებაზე, — აცხადებს ყოველკვირეული „ტაიმი“, — რაღაც უფრო მეტი მოხდა, ვიდრე ნათქვამია კომუნიკეში“.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ ამ გარემოებას პირდაპირ უკავშირებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწის გრინის მოკაზაურობას იაპონიაში, სამხრეთ კორეასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. როგორც აქ აღნიშნავენ, გრინი ნიქსონის უშუალო ემისარია. მისი ამოცანაა გააცნოს ამ ქვეყნების მთავრობებს პრეზიდენტის მიერ პეკინში წარმოებული მოლაპარაკების შედეგები. ამ მიზნით გრინი ტოკიოში შეხვდა პრემიერ-მინისტრს სატოსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ფუჯიუდას. მაგრამ, როგორც „ვაშინგტონ პოსტის“ ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, იაპონიის ოფიციალური პირნი ჩივიან, „იაპონიის მთავრობამ იმაზე ცოტა შეიტყო, ვიდრე მოელოდაო“.

გაზეთი „ვაშინგტონ დეილი ნიუსი“ ამასთან დაკავშირებით წერს, რომ, როგორც ჯოუ ენ-ლაიმ განაცხადა პეკინში ამერიკელ კორესპონდენტთა წინაშე, „ამერიკელებმა უნდა განუმარტონ თავიანთ აზიელ მოკავშირეებს უმაღლესი დონის თათბირის შედეგები“. „თქვენ გაგიკვირდებათ“, — მოყავს გაზეთს ჩინეთის პრემიერის ნათქვამი. „ჯოუ ენ-ლაისათვის უეჭველად ცნობილია, — ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, — რომ გრინი ჯერ შეძლებს დაუბრუნოს სიმშვიდე ამერიკის შეერთებული შტატების აზიელ მოკავშირეებს“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პოლიტიკურ წრეებში, კერძოდ, არაბული ქვეყნების დელეგაციათა შორის, აღნიშნავენ, რომ კომუნიკე არ შეიცავს ჩინეთის მხარის განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩინეთი მხარს უჭერს არაბ ხალხთა, მათ შორის პალესტინელი ხალხის ბრძოლას ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ. მოჰყავთ გაზეთი „აშ-შაბაბის“ სიტყვები, რომ, როგორც შანჰაის კომუნიკედან ჩანს, ჩინეთის ხელმძღვანელობამ ზურგი შეაქცია ახლო აღმოსავლეთისა და ლათინური ამერიკის ხალხებს. ჩინეთის ხელმძღვანელები, აღნიშნავს გაზეთი, ცდილობენ დაიკავონ დიდმპყრობელური პოზიციები მესამე სამყაროს ხალხთა ხარჯზე.

„ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველები ევანსი და ნოვაკი ვარაუდს გამოთქვამენ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დათმო ტაივანის საკითხში, ვინაიდან იმედოვნებს, რომ ჩინეთი მხარს დაუჭერს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კონფლიქტის ლიკვიდაციაში ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მისაღები პირობებით.

ანალიზებენ რა „განზრახ ბუნდოვად შედგენილ კომუნიკეს“. ევანსსა და ნოვაკს გამოაქვთ დასკვნა, რომ „პეკინში წარმოებული მრავალი საათის საიდუმლო მოლაპარაკების ნამდვილი მნიშვნელობაა ჯოუ ენ-ლაისა და ჩინეთის მთავრობის მზაღყოფნა, რომ ეცადოს, რათა ჰანოიში დაიკავონ უფრო დამთბობი პოზიცია“. მიმომხილველთა აზრით, წერენ ევანსი და ნოვაკი, „პეკინი, ეტყობა, მიმართავს საიდუმლო დიპლომატიას, როცა საჯაროდ უარყოფს, რომ ხელი არ აუღია ვიეტკონგის შეიდპუნქტიანი წინადადებებისათვის მტკიცე მხარდაჭერაზე“.

ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა-ჩინეთმცოდნემ დ. ბარნეტმა ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ ვორლდ რიპორტის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, **რომ, როგორც** შანჰაის კომუნიკე ცხადყოფს, ჩინეთის ხელმძღვანელები ცდილიან თავიანთ პოლიტიკას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. „მათ მიიჩნიეთ, — თქვა ბარნეტმა, — რომ ამერიკელთა პოზიციების შენარჩუნება ამ რაიონში მათ გარკვეულ სარგებლობას უქადის და. შესაძლებელია, ახლა ასე დაბეჯითებით აღარ მოითხოვენ შეერთებული შტატების მთლიანად წასვლას აზიიდან“.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ

1972 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲛᲐᲠᲢᲘ.

ბოლშევიკი ისტორიკოსი

ნ. ბ. მახარაძის დაბადების 70 წლისთავი

საქართველოს პარტიული, საბჭოთა და სამეცნიერო საზოგადოება კარგად იცნობს ნიკოლოზ ბარნაბის-ძე მახარაძეს — ძველ ბოლშევიკს, თვალსაჩინო ისტორიკოს-მკვლევარს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს. მისი მთელი შეგნებული ცხოვრება, ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა მიმართული იყო და არის ჩვენი პარტიის, მშრომელი ხალხის საქმისადმი. კომუნიზმის მშენებლობისადმი უანგარო სამსახურისაკენ, იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ერთობ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში — საქართველოში მენშევიკების დიქტატურის პერიოდში და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცე საინტერესო გზა განვლო.

ნიკოლოზ მახარაძე დაიბადა 1901 წლის დეკემბერში ოზურგეთის მაზრის შემოქმედის თემის სოფელ გომში. 1911-1912 წლებში ცხოვრობდა დონის როსტოვის ოლქში ალექსანდროვსკ-გრუშევსკში (ახლა ქ. შახტი), სადაც განლაგებული იყო ქვანახშირის მაღაროები. ამ სამრეწველო ქალაქში ახალგაზრდა ნიკო ცხოვრობდა იმ დროს გადასახლებაში მყოფ თავის ბიძასთან — ცნობილ რევოლუციონერთან, შემდგომში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწე ფ. მახარაძესთან. მეშახტეთა მძიმე შრომისა და ცხოვრების ჯაფნობამ და ბიძასთან ახლოს ყოფნამ დიდი გავლენა მოახდინა მის პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებასა და მომავალი ცხოვრების გზის არჩევაზე.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. მახარაძემ სწავლა განაგრძო ოზურგეთის სასწავლებელში. ეგ მოუსწრო მას 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ, რომელმაც რადიკალურად ჯანწყობილი ახალგაზრდობის წინაშე მრავალი საჭირბოროტო საკითხი დააყენა. საჭირო გახდა ცალიერად პოლიტიკურ მოვლენათა თეორიული ახსნა და მომავლის მუშაობის პრაქტიკული გზების გაჩვენება. ამიტომ ოზურგეთის, ისე როგორც სხვა მაზრების ახალგაზრდობა ენერგიულად დაეწაფა რევოლუციური თეორიის შესწავლას. ახალგაზრდობის ეს ჯანსაღი მისწრაფება არ დარჩენილა ადგილობრივი ბოლშევიკების ყურადღებისა და ხელმძღვანელობის გარეშე. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა „პრავდაში“ დაბეჭდილ ლენინურეული ბოლშევიკების მისალმება ემიგრაციიდან ახლად დაბრუნებული ვ. ი. ლენინისადმი. ეს იყო ერთ-ერთი პირველი გამოხმაურება ბელადის დაბრუნებაზე, რამაც ხელი შეუწყო გურიის რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობის მუშაობის გაძლიერებას.

მოწინავე ახალგაზრდების თაოსნობით ოზურგეთში მოეწყო ახალგაზრდათა საქალაქო კლუბი. მის გამგეობაში აირჩიეს ეგრეთვე ნ. მახარაძე, კლუბმა ფართოდ მიიზიდა ახალგაზრდები, და გაჩაღდა მუშაობა თვითგანვითარების მიმართულებით. კლუბის მუშაობაზე ინფორმაცია გაუგზავნეს ბოლშევიკურ გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“ redაქციას, რომელიც მაშინ ქართველი ბოლშევიკების ხელმძღვანელი ცენტრის როლს ასრულებდა. ოზურგეთის ახალგაზრდების წამოწყება რედაქციამ მოიწონა. 24 მაისს გაზეთში გამოქვეყნდა კლუბის მუშაობის ანგარიში და მოწოდება ახალგაზრდობისადმი.

ასე დაიწყო 15 წლის ნ. მახარაძის პოლიტიკური მოღვაწეობა დროებითი მთავრობის, მენშევიკებისა და ესერების წინააღმდეგ ბრძოლაში, სოციალისტური რევოლუციისათვის. 1917 წლის ივლისში ნ. მახარაძე კომუნისტურ პარტიაში მიიღეს და იწყებს ფართო პარტიულ ორგანიზაციულ და პროპაგანდისტულ მუშაობას გლეხობაში. იგი ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას და გაზეთებს. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ბოლშევიკების მუშაობა უფრო გაფაღდა. ნ. მახარაძეს ირჩევენ ჯერ უფროსად მდივნად, შემდეგ — რაიონულ ორგანიზატორად.

1919 წლის შემოდგომაზე გურიის რაიონები სახალხო ჯანყებმა მოიცვა. სხვა ბოლშევიკებთან ერთად ნ. მახარაძე ამ ჯანყების აქტიური მონაწილეა. ამ მოვლოდა დაპატიმრება და ამიტომ იძულებული გახდა არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. მაგრამ 1920 წლის მაისიდან ციხარება შეიცვალა. პარტიის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით იგი ამზადებს ახალგაზრდებს პარტიაში მისაღებად. აგრცელებს ლიტერატურას, აქვეყნებს კორესპონდენციებს ბოლშევიკურ გაზეთებში, ეწევა ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას მასწავლებლებსა და ექიმებს შორის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველ წელს ნ. მახარაძე მუშაობდა პარტიის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტში. ხოლო შემდეგ რაიკომის მდივნად.

1923 წლიდან ნ. მახარაძე თბილისშია და სწავლობს ამერიკაკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1925 წლ-დან მახარაძე მუშაობდა ჯერ პარტიის თბილისის კომიტეტის, შემდეგ კი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის „პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ. 1931-1933 წლებში სწავლობდა წითელი პროფესურის ინსტიტუტში და ერთდროულად ლექციებს კითხულობდა მოსკოვის სამართლის ინსტიტუტსა და საკავშირო პროფსაბჭოს უმაღლეს სკოლაში.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ნ. მახარაძე მუშაობდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ, თბილისის უნივერსიტეტის ახლად დაარსებული ისტორიის ფაკულტეტის პირველ დეკანად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, 1954 წლიდან კვლავ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილედ. მისი აქტიური მონაწილეობით გამოიცა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი საქართველოს კომპარტიის ისტორიის შესახებ.

ნ. მახარაძე ცნობილია როგორც მაღალკვალიფიციური მეცნიერი ისტორიკოსი, მრავალმხრივ ერუდირებული მკვლევარი, რომელმაც მრავალი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით გამდიდრა ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია. მის კალამს ეკუთვნის 40-ზე მეტი ნაშრომი, რომლებშიც გამოკვლეულია XIX და XX საუკუნეების საქართველოს ისტორიის აქტუალური პრობლემები.

ამ მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია ნ. მახარაძის ყველა ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობის თუნდაც სქემატური ჩამოთვლა. ერთ-ერთი პირველი მისი მონოგრაფიული ნამკვლევი იყო საკანდიდატო დისერტაცია: „იმერეთის ჯანყება 1819-1820 წლებში“. ოფიციალურმა ოპონენტმა აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა მაღალი შეფასება მისცა ამ მონოგრაფიულ ნამკვლევს და აღნიშნა: „...საქართველოს ჯანყებათა შესახებ არსებულ ლიტერატურაში ეს ნაშრომი თუ ყველაზე წინ არ დგას, არც არავის ჩამოუვარდება... ამ ნაშრომის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას სერიოზული ნარკვევი შეეძინა“.

ნ. მახარაძემ სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას საქართველოში“. ეს ეპოქა განეკუთვნება ჩვენი პარტიის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს. იგი ამავე დროს ეხმაურება თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს.

ამ ნაშრომს 1968 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

ნ. მახარაძე თანაავტორია საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებისა, ნაყოფიერად მუშაობს საბჭოთა საზოგადოების ისტორიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. იგი ავტორია საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოსი.

დღესაც ნ. მახარაძე აქტიურად მონაწილეობს ინსტიტუტის სამეცნიერო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამეცნიერო ფორუმებში მოსკოვსა და ამერიკაკავკასიის რესპუბლიკებში. იგი არის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, აგრეთვე საქართველოს საისტორიო საზოგადოების სამეცნიერო საბჭოების წევრი. არაერთხელ ყოფილა არჩეული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შემადგენლობაში.

ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ნ. მახარაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით, აგრეთვე მედლებით. მას მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ასეთია მოკლედ ნიკოლოზ მახარაძის — ძველი ბოლშევიკის, ნამდვილი ისტორიკოსის მიერ განვლილი მრავალმხრივ საინტერესო და ნაყოფიერი გზა. ჩვენ გულწრფელად ვუღოცავთ მას დაბადების 70 და საშეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და შემდგომ ახალ წარმატებებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ი. კაპარაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
ა. კოპალაძაშვილი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

გუნეგის კარი

მოფრინდნენ გედები...

სოხუმი. (საქრესი). თვალწარმტაცია სოფელ ოლორში, „რომელიც შავი ზღვის მახლობლად მდებარეობს, არის სოხუმის თევზჯოგმბინაცის სატბორე მეურნეობა. აქ სარკისებრი ჭაბარის სამეფოა. წლეულანდელ ზამთრრში სატბორე მეურნეობაში მოეფლოდნელი ახალმოსახლენი გამოჩნდნენ, და მეთევზეებს სიხარუნაიც მოეტანეთ.

— ივნვრის დამდეგს, — გვითხრა მეურნეობის ბრიგადირმა ხუტა ძაძამიამ, — დილაადრიან ვაისმა ფრთხელების ხმა. ძალიან გაგვიკვირდა, როცა თეთრი და ნაცრისფერი გედების დიდი გუნდი დავინახეთ. ჯერ ეფიქრეთ, რომ ჩვენი სტუმრები, ხანმოკლედ შეჩერდნენ აქ, მაგრამ უკვე ორმა თვემ განვლო და გედები არ მფრინავენ. პირველად ისინი ძალიან ფრთხებოდნენ, გუნდ-გუნდად დაფეთავდნენ წყალში. ახლა გუნდი, რომელიც ასამდე ფრინველია, თავისუფლად დაცურავს ტბორში, რომელიც ამ ჰექტარზეა გადაჭიმული. ფრთხეველები ხშირად აფრინდებიან ზოლმე, რამდენიმე წრეს შემოფენენ და კვლავ ბრუნდებიან. ახლა ისინი გამოდიან ნაპირზე, ბარდებში, როგორც ჩანს, დასაბუდებლად ემზადებიან. მათ ფეხზეა ვიცავთ ტურებისაგან, რომლებმაც აქ წანწალს მოეხშირეს.

ბუშინ, დღეს

ამინდი

ბუშინ თბილისში დილიდანვე თოვლჩამოდენა. დღის 12 საათზე აღინიშნა 3 გრადუსი სიცივე.

თოვლჩაყარა იყო აგრეთვე თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთ საქართველოში კი მოწმენდილი ამინდი იდგა, გარდა მთებისა, სადაც ნალექი მოვიდა. დღისით ბარში კვლავ სითბო 10-12 გრადუსი იყო.

დღეს, 3 მარტს, **დასავლეთ საქართველოს** ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ნალექი, რაიონის ხეობებში იქროლებს წამში 5-10 მეტრის სიძლიერის ქარი, ბარში დღისით იქნება 9-14, ღამით 1-6 გრადუსი სითბო, მთებში დღისით 3-8 გრადუსი სითბო, ღამით ნული-5 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე ნალექი და ნისლი, დღისით ბარში 3-8 გრადუსი სითბო, ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, მთაში დღისით 3 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, ღამით 3-8 გრადუსი ყინვა.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე ნალექი, დღისით 6-8 გრადუსი სითბო, ღამით ნული — 2 გრადუსი ყინვა.

მედიცინის სიახლე







მექურნალობს ულტრაბგერა

ტექნიკის შემდეგ ულტრაბგერა მედიცინამიც დამკვიდრდა. ოპერაციების დროს ქირურგები იყენებენ გუმმტკივნეულების მის საკვირველ თვისებას — იგი თურმე ნერვულ ბოჭკოთა წვეროების ანესტეზიას ახდენს. ულტრაბგერა ცვლის ქირურგის ისეთ ტრადიციულ ხელსაწყოებს, როგორიც არის სკალპელი, ხერხი და სატენი.

საბჭოთა კავშირში ულტრაბგერის მეთოდი პირველად გამოიყენეს ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის და ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის თანამშრომლებმა. მას ჯერ იყენებდნენ ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში, ხოლო შემდეგ — გულმკერდის ქირურგიაშიც.

ხურათებზე: მარცხნივ ზემოთ — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის თანამშრომლები ემზადებიან ტრაქეობრონქოსკოპიისათვის ულტრაბგერის ტალღგამტარის გამოყენებით; ქვემოთ — ოპერაცია ამავე ინსტიტუტის გულმკერდის ქირურგიის განყოფილებაში; აპარატი „ლორ-I ა“-ს, რომელსაც მარჯვენა ხურათზე ხედავთ, წარმატებით იყენებენ ქრონიკული ტონზილიტის მკურნალობაში.

ახალი ამბების სააგენტოსა და საკავშირო ფოტოქრონიკა.

ბ. ცაბაკიტა-რამეილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა სკკპ წევრი 1943 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცნარეთა დაცვის ცხაკაიას სარაიონთაშორისო სადაზურის უფროსი მისმენელ ბარმელმეს-ძე საბახტარაშვილი.

ბ. საბახტარაშვილი დაიბადა 1911 წელს ცხაკაიას რაიონის სოფელ უშაფათში. 1927 წელს წარმატებით დაამთავრა ახალსენაკის 9-წლიანი წრმინის სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1932 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში აგრონომ-ინსპექტორად.

1933-1937 წლებში ბ. საბახტარაშვილი ჩხოროწყუს რაიმიწგანის უფროსი აგრონომია, შემდეგ წულუკიძისა და ლუშეთის მტს-ების უფროსი აგრონომი; 1940 წელს ინშნება საქართველოს ჩაის ტრესტის სახელმწიფო ინსპექტორად.

სამამულო ომის დაწყების პირველივე დღიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია და თავდადებით იბრძვის ვერმახტელ ფაშისტთა წინააღმდეგ. 1943 წელს ფრონტზე მიღებული ჭრილობის გამო დემობილიზებულ იქნა არმიიდან და კვლავ მუშაობს სამეურნეო ორგანოებში — იყო ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი აგრონომი, განყოფილების გამგე, ცხაკაიას მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორი.

1955 წელს იგი არჩეულ იქნა ცხაკაიას მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა ბ. საბახტარაშვილის მაღალნაყოფიერ მუშაობას სოფლის მეურნეობის დარგში, 1948 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის სპეციალური ოქროს medალი, ორჯერ დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით.

შესანიშნავი მუშაკისა და შოქალაქის ბ. საბახტარაშვილის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული დეპეშათა სააგენტო — საქდეპეშა — გარდაექმნას საკავშირო-რესპუბლიკური მნიშვნელობის სახელმწიფო საინფორმაციო ორგანოდ — **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოდ — საქინფორმად** და დაადგინა, რომ თავისი მოგამზადებრობით საქინფორმი სარგებლობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტების ოთხლებებით.

□

„საქართველოს სოფლის მეურნეობა“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ **„საქართველოს სოფლის მეურნეობის“** მორიგი, მეორე ნომერი.

„სკოლა და ცხოვრება“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ **„სკოლა და ცხოვრების“** მორიგი, მეორე ნომერი.

გაზეთ „კომუნისტის“ redაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მოგახსენოთ ყველა იმ პირს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას, რომელთაც გაიხარეს ჩვენი მწუხარება ეკატერინე ბოროვნაძის გარდაცვალების გამო.

ეკატერინე ბუროვნაძის ოჯახი.

კაპარიკ მოხდა, ვინ ქრის დამნაშავეები?

უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში საგრძნობლად იმატა ავტოტრანსპორტმა. მეკრე ხუთწლედში კი უფრო გაიზრდება. ავტომეურნეობები დაკომპლექტებული არიან საქმის მცოდნე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალით, მძღოლებით. მაგ კარგად იციან, რომ ავტოგადაკვეთა წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი და ეროვნული საქმეა.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ზრუნვით მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა ავტოსაგზო შეთხვევებთან ბრძოლის საქმეში. თუ სტატისტიკას გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ბოლო წლებში ავარიები, მთგან გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი თანდათანობით კლებულობს, მაგრამ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა და ყურადღების შენელება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

გასულ წელს რესპუბლიკაში აღირიცხა 2819 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის გამო ჯარდაკვლა 745 და დაშავდა 3198 ადამიანი. ხოლო მატერიალური ზარალი, რაც რესპუბლიკამ განიცადა, კიდევ სხვაა. ციფრები მეტად დამაფიქრებელია და თვითეულისაგან, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი იქნება ეს, მძღოლი თუ ქვეითად მოსიარულე, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმწიფო ავტოინსპექციამ მრავალ საკითხთან ერთად შეისწავლა და ადგილებზე შეამოწმა თუ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხად დგას საბჭოთა ავტომანქანები. გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ავტომეურნეობის ავტომანქანები ღამით მძღოლთა საცხოვრებელ ეზოებში დგანან და გარაჟში მხოლოდ საგზაო ფურცლების მოსაღებად თუ შევლენ. ისიც ფაქტია, რომ ზოგიერთი მძღოლი სახელმწიფო ავტომობილის ბენზინს ბენზინგასამართ პირადი გამორჩენის მიზნით ამუშავებს. აღსანიშნავია ისიც: მძღოლმა რომ თავი აარიდოს მილიციის მუშაკს, ათასგვარ ხერხს მიმართავს, არ იცავს მოძრაობის სიჩქარის ნორმებს, გასწრებისა და მანევრირების წესებს, რაც ხშირად ავტოავარიით მთავრდება.

12 თებერვალს 22 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმოს კუთვნილი ავტომობილი მაზ-555 72-45 გრუ მძღოლმა ანტონ კანდელაკმა თავიხი სახლიხ ეზოში დააყენა და უნდოდა ძრაგიდან ტომანქანა 16 დღის განმავლობაში, თბილისში თავისი სახლის ეზოში ეყენა და მხოლოდ ერთ დამეს გამოცხადდა ავტომეურნეობაში. ასე იქცევინენ მძღოლები მ. ჯაკიაშვილი, ო. ყინიაშვილი, გ. გუჩაშვილი და სხვები. შემდეგ მაინც უნდა გამოეტანათ საათაადო დასკვნები ავტომეურნეობის ხელმძღვანელებს, მაგრამ ნუსრეგი მაინც ვერ დაამყარეს ავტომეურნეობებში. ხუთი ავტომანქანა კიდევ არ აღმოჩნდა გარაჟში. მეტიც, ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელობა იქამდე მივიდა, რომ წერილობითი განკარგულებით სამი ავტომობილის მძღოლებს უფლება მისცა დაეყენებინათ ავტომანქანები თავიანთი საცხოვრებელი სახლების ეზოებში. ერთხელ კიდევ უნდა შეგახსენოთ „აღნიშნული ავტომეურნეობის ხელმძღვანელებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ მოძრაობის წესებში აღნიშნულია არ დაუშვან სატრანსპორტო საშუალებათა შენახვა მძღოლის საცხოვრებელ ადგილზე.

სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა გარდაბნის რაიონში ულანასკნელ ხანს 120-მდე ანალოგიური დარღვევა აღმოაჩინეს, რის გამოც 62 საწარმოს ხელმძღვანელები დაჯარიმებულ იქნენ, ხოლო 112 ავტომანქანას სახელმწიფო ნომრები მოეხსნა.

ანალოგიური დარღვევები აქვთ თბილისბენზოსტანგასაჭრობის, საქნილბოსტანგასაჭრობის და თელასის, № 5 და № 6 ავტოსატრანსპორტო საწარმოებში, 2651 და 2652 ავტოკოლონებში, მე-2 საკვირეთო-სამაზარო ავტოსატრანსპორტო საწარმოში და სხვ.

ავტომოთარეშეებს ახლავე უნდა მოვუსვათ მოქმედების ასპარეზი, მარტო ავტოინსპექცია ვერაფერს გახდება, თუ მას მხარში არ ამოუდგნენ საკრანსპორტო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და საზოგადოებრივი აქტივი.

ა. კოგახიძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგიტაციო-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი.

ავტომანქანა დაგორდა...

ავტომობილების სადგომი მხოლოდ გარაჟშია

მოწვეული ადამიანთა მსხვერპლი და მატერიალური ზარალი თანდათანობით კლებულობს, მაგრამ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა და ყურადღების შენელება ერთი წუთითაც არ შეიძლება.

გასულ წელს რესპუბლიკაში აღირიცხა 2819 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რის გამო ჯარდაკვლა 745 და დაშავდა 3198 ადამიანი. ხოლო მატერიალური ზარალი, რაც რესპუბლიკამ განიცადა, კიდევ სხვაა. ციფრები მეტად დამაფიქრებელია და თვითეულისაგან, საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელი იქნება ეს, მძღოლი თუ ქვეითად მოსიარულე, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმწიფო ავტოინსპექციამ მრავალ საკითხთან ერთად შეისწავლა და ადგილებზე შეამოწმა თუ სამუშაოს დამთავრების შემდეგ ხად დგას საბჭოთა ავტომანქანები. გამოირკვა, რომ რესპუბლიკის ზოგიერთი ავტომეურნეობის ავტომანქანები ღამით მძღოლთა საცხოვრებელ ეზოებში

სპორტული მარტი

ზეზეგანდელი გაზაფხულის პირველი თვის — მარტის სპორტული ადიშა მრავალმხრივი და საინტერესოა. საკმარისია ითქვას, რომ ამ თვეში გაიმართება 19 მსოფლიო, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატი, აგრეთვე ევროპის თასი.

მარტის ერთ-ერთ მასობრივ ახალგაზრდობის წარმოადგენს მსოფლიოს სტუდენტთა ზამთრის უნივერსიადა ლეიკ-პლესიდში (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელიც თებერვლის მიწურულში დაიწყო და 6 მარტამდე გაგრძელდება. საინტერესოდ იქნება აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენების მონაწილეობით მსოფლიო პირველობა ფიბურულ ციგურაობაში. იგი სტარტს კანადაში აიღებს 7 მარტს და 5 დღეს გაგრძელდება, ერთდროულად (10-12 მარტი) საფრანგეთსა და იტალიაში მოეწყობა რაპერისტ ვაჟთა და ქალთა ასპარეზობა ევროპის თასზე. 11-12 მარტს კი საფრანგეთში შედგება ევროპის ჩემპიონატი მძლემსნობაში. ჩვენი ქვეყნის პირველობა სამმო-სასხილაბურ სპორტში ვაჟთათვის ჩატარდება 11-16 მარტს ტერსკოლში, ქალთათვის — სლავსკოეში. საბჭოთა ძალოსანები მონაწილეობას მიიღებენ ზვეციისა და ფინეთის, საერთაშორისო ტურნირებში. ჩვენი ქვეყნის პირველობა მძლემსნურ პრესსა და საკავშირო შეჯიბრება 30 კილომეტრზე რბენაში შედგება ტამგენტში 12 მარტს.

მარტის შუა რიცხვებში საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ამერიკის შეერთებულ შტატებს ეწვევიან და აქ ადგილობრივ გუნდებთან ათი დღის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ექნებათ. ამერიკაშივე გაიმართება აგრეთვე (13-19 მარტი) ამ ქვეყნისა და სსრ კავშირის მძლემსანთა ტრადიციული მატჩი. 24 მარტიდან 4 აპრილამდე თბილისში მოეწყობა ჩრმბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება. 25-დან 31 მარტამდე სპმოს მოთხილამურე გოგონებსა და ჭაბუკებს საკავშირო პირველობა ექნებათ ბორფასა და ბაკურიანში. 30 მარტიდან 3 აპრილამდე ვოლგოგრადსა და თბილისში შედგება სსრ კავშირის ჩემპიონატი ფს�.

სსრ კავშირის თასზე

□

გუშინ სოჭსა და ხოსტაში

□

სოჭში ერთმანეთს შეეჯიბრნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ოლიმპიადის „სპარტაკის“ გუნდები. მატჩის შედეგია 1:0 (ცსკა-ს სასარგებლოდ).

ხოსტაში თბილისელმა ნოვატორებმა „ნეფერსა“ და „ტამგენის „პატეკორის“ გუნდები. წარმატება „ნეფერს“ ხვდა 2:1.

მოჭადრაკეთა ფორუმი მოსკოვში

პირველად ეწყობა ასეთი ასპარეზობა მოსკოვში. ეს გახლავთ საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელიც 1 მარტს გაიხსნა. მონაწილეობს ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები, რომელთა რიგებშია ო�ეს მეტი გროსმაისტერი. მათ შორის მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ტ. პეტროსიანი.

თვითეული გუნდები 12 მოჭადრაკეა — 5 კაცი, 2 ქალი, 3 ჭაბუკი და 2 გოგონა. გუნდები გაყოფილია სამ ჯგუფად, სადაც მოეწყობა წინასწარი შეხვედრები. ორ-ორი გამარჯვებულისაგან შეიქმნება მთავარი ფინალური ჯგუფი, სადაც გათამაშდება პირველი-ოქროსა-მეორე ადგილი, მეორეში — მეშვიდე-მეთორმეტე ადგილი, მესამეში — ოცდაერთე ადგილი, მეორეში — ოი წინასწარი ჯგუფების შემადგენლობა: **პირველი** — აზერბაიჯანი, ლატვია, თურქმენეთი, რსფსრ, ესტონეთი, ლენინგრადი. **მეორე** — ლატვია, ტაჯიკეთი, მოსკოვი, ბელორუსია, ყაზახეთი. **მესამე** — სომხეთი, უკრაინა, მოლდავეთი, ყირგიზეთი, უზბეკეთი, საქართველო.

ოლიმპიადის საზეიმო გახსნის დღეს სხვებთან ერთად მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მაქს ეიფი. მან თქვა — ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ასეთ უნიკალურ მოვლენას.

ეიფმა მაარნა, რომ ოლიმპიადის მონაწილეთა ნახევარი რომელიც ეხებოდეთ მსოფლიო მნიშვნელობის ასპარეზობის მთავარი პრიზის პრეტენდენტია.

მას შემდეგ, რაც ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მფრინავიმა-კოსმონავტმა, საბჭოთა კავშირის გმირმა, სპორტის ღამსახურებულმა ოსტატმა ვ. სერგასტრანოვმა ოლიმპიადა გახსნილად გამოაცხადა, სსრ კავშირის ჩემპიონმა ეფიმ ალმართა ტურნირის ალმა. გუშინ შედგა პირველი ტური.

უძლიერესები გამოვლინდნენ

თბილისში, განათლების სამინისტროს სპეციალიზებული სპორტული სკოლის საცეკვაო ოთახში, ბავშვთა ფიგურული ციგურაობაში. ამ ასპარეზობაში ძირითადად თბილისელები მონაწილეობდნენ. გოგონათა ინდივიდუალურ ციგურაობაში ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლის მოსწავლემ 12 წლის მარინე ცერცვაძემ. სპორტის ოსტატობის პროგრამით მოასპარეზე ვაჟთა ინდივიდუალურ ციგურაობაში ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა 130-ე სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ თ. ლომაძემ. წყვილთა შორის საუკეთესონი იყვნენ ქეთინო მაჭავარიანი და ვლადიმერ თავაძე, ყინულზე ცეკვებში ტოლი არ ჰყავდათ ნინო მურუსიძეს და ნიკოლოზ სავინაოს.

გამარჯვებული სპორტსმენები მალე გაემგზავრებიან ქ. ვოსკრესენსკში, სადაც ათდღიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრების შემდეგ 16 მარტს ქ. ჩერეპოვეცში ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა პირველობაში.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მთვრალი სასწრაფოს საქმესთან“

redაქციას უპასუხებს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

გაზეთ „კომუნისტის“ მიმდინარე წლის 2 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი სათაურით „მთვრალი სასწრაფოს საქმესთან“. მასში მოცემული იყო ახალციხის რაიონის დ